გაზეთი ზევრია, „ვერსია" ერთი

# ვერსია

ფასი 40 თეთრი

№131 (887) 11 – 12 დეკემბერი, 2013 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი



გვ. 3–5

## სკანდალური ექსკლუზივი



როგორ დაიგეგმა პრეზიდენტის ლიკვიდაცია

ნიკოლოზ მჟავანაძე:

# „ზვიად გამსახურდია წამებით მოკლეს!"

## SOS საფრთხე!

იმ ქვეყნების სია, რომლებიც გმო-ზე უარს ამბობენ!



გვ. 9

როდის შეუერთდება მსოფლიოს 40-მდე სახელმწიფოს საქართველო

გიორგი თავდგირიძე: „ხუდონჰესზე ლოზუნგებით კი არა, ფაქტებით უნდა ვილაპარაკოთ"

გვ. 8

დიდი ლილოს მოსახლეობა დარღვევებით მოწყობილი ნაგავსაყრელის გაუქმებას მოითხოვს

გვ. 6

## საშიშია თუ არა 600 000 000-ლარიანი შიდავალი ქვეყნის ეკონომიკისთვის?!



რატომაა აუცილებელი ლარის კურსის რყევა, რას გადაეჩვია საქართველოს მოსახლეობა და რატომ არ მიიღებს ნაციონალური მოძრაობის კრიტიკას

დავით ონოფრიშვილი

გვ. 7



## უამინდობის გამო, პრემიერ-მინისტრის დავალებით, ყველა უწყება მობილიზებულია

უამინდობის გამო, პრემიერ-მინისტრის დავალებით, ყველა შესაბამისი უწყება მობილიზებულია დიდთოვლობის გამო დასავლეთ საქართველოში შექმნილ მდგომარეობასთან დაკავშირებით, საქართველოს პრემიერ-მინისტრის დავალებით, მობილიზებულია ყველა შესაბამისი უწყება, — ამის შესახებ მთავრობის კანცელარიის პრესსამსახურის განცხადებაშია ნათქვამი.

მთავრობის პრესსამსახურის ცნობით, საგანგებო რეჟიმში მუშაობენ ენერგეტიკის სამინისტრო, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, აჭარის მთავრობა და სამაშველო სამსახურები.

110-კილოვატიანი მაღალი ძაბვის გადამცემი ხაზის დაზიანების აღმოსაფხვრელად, 24-საათიან რეჟიმში მუშაობს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ ტექნიკური სამსახური.

**„ენერგეტიკის მინისტრი კახა კალაძე იმ სამუშაო ჯგუფთან ერთად იმყოფებოდა, რომელიც მაღალი ძაბვის გადამცემი ანძის აღსადგენად მთელი ღამის განმავლობაში მუშაობდა. ასევე დაზიანებულია დაბალი ძაბვის ხაზები იმერეთში, სამეგრელოში, აჭარაში. ავარიების დროულად აღმოფხვრისთვის ბრიგადები აღმოსავლეთ საქართველოს ფილიალებიდანაა გადაყვანილი. ღამის განმავლობაში სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან ობიექტებს ელექტროენერგია ყველა რეგიონში მიეწოდებოდა. იმ ადგილებზე, სადაც სარემონტო ბრიგადებმა ქარბუქისა და დიდთოვლობის მიუხედავად, მისვლა მოახერხეს, შესრულდა აღდგენითი სამუშაოები და აბონენტების ნაწილს ელექტროენერგიის მიწოდება აღუდგა. ადგილზე პროცესს ენერგეტიკის სამინისტრო კურირებს“,** — ნათქვამია პრესსამსახურის განცხადებაში.

მთავრობის პრესსამსახურის ინფორმაციით, მთელი ღამის განმავლობაში საავტომობილო გზებზე ინტენსიური გაწმენდითი სამუშაოები მიმდინარეობდა.

გზის იმ მონაკვეთებზე, სადაც დიდთოვლობის გამო შეზღუდვები მოქმედებს, საავტომობილო მოძრაობა საპატრულო პოლიციის უშუალო ზედამხედველობით და კოორდინაციით ხორციელდება.

***„ინტერპრესნიუსი“***



## ქუთაისში სასტიკად ნაწამები მამაკაცის ცხედარი იპოვეს

გარდაცვლილი მელიქიშვილის ქუჩაზე მდებარე მე-12 კორპუსში მცხოვრები სოციალურად დაუცველი იყო და ბაზარში მუშაობდა. როგორც „პირველის“ ადგილობრივ კორესპონდენტს იმერეთის სამხარეო პოლიციაში განუცხადეს, საქმე განზრახ მკვლელობის მუხლით უკვე აღძრულია და გამოძიება 108-ე მუხლით მიმდინარეობს.

**„გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, ამ ეტაპზე სხვას ვერაფერს გეტყვით. მიმდინარეობს გამოძიება“,** — განაცხადა საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის თანამშრომელმა, ტატო კუჭავამ. როგორც თვითმხილველები აცხადებენ, მამაკაცს ყელისა და სხეულის სხვადასხვა არეში ჰქონდა ჭრილობა მიყენებული.

***„პირველი“***



## საქართველოს პრეზიდენტმა 7 ქვეყანაში ელჩების დანიშვნის ბრძანებას ხელი მოაწერა

როგორც „პირველს“ საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესსამსახურში განუცხადეს, გიორგი მარგველაშვილის ბრძანება უწყებამ 7 დეკემბერს მიიღო.

ბრძანების შესაბამისად, საქართველოს ელჩი ბულგარეთში ზურაბ აბაშიძე იქნება, უზბეკეთში — კონსტანტინე ჟღენტი, გერმანიაში — ლადო ჭანტურია, იაპონიაში — ლევან ცინცაძე, ჩინეთში — დავით აფციაური, ირანში — იოსებ ჩახვაშვილი, იორდანიაში კი გრიგორ ტაბატაძე იქნება. დიდ ბრიტანეთსა და ესტონეთში ელჩების თანამდებობები კვლავ თავისუფალია.

***„პირველი“***

## Freedom House ვიქტორ იანუკოვიჩს გადადგომისკენ მოუწოდებს

საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაცია Freedom House უკრაინის პრეზიდენტ ვიქტორ იანუკოვიჩს გადადგომისკენ მოუწოდებს. ამის შესახებ ორგანიზაციის მიერ გავრცელებულ განცხადებაშია ნათქვამი.

**„პრეზიდენტმა იანუკოვიჩმა უკრაინელ ხალხს შორის ლეგიტიმურობა და ნდობა დაკარგა. არ ვუჭერთ მხარს ქვეყნის მომიტინგეებით მმართველობას, მაგრამ იანუკოვიჩმა ევროკავშირთან ინტეგრაციაზე უარის თქმით და დემონსტრანტთა მოთხოვნების იგნორირებით, კრიზისი შექმნა“,** — განაცხადა Freedom House-ის პრეზიდენტმა დევიდ კრამერმა.

მისივე თქმით, საუკეთესო, რაც შეიძლება იანუკოვიჩმა საპროტესტო აქციების შეწყვეტისთვის გააკეთოს, თანამდებობიდან გადადგომაა, რათა გზა დაუთმოს ვადამდელ საპრეზიდენტო არჩევნებს.

9 დეკემბერს, კიევში ძალოვნებმა მშვიდობიანი მომიტინგეების ბარიკადები და კარვები დაარბიეს. სპეცრაზმი შეიჭრა ოპოზიციური პარტია „ბატკივშინას“ ოფისში და სამ მედიასაშუალებაში.

***„ვერსიანიუსი“***



## ქართველი მესაზღვრე კიკბოქსინგში მსოფლიო ჩემპიონი გახდა

საქართველოს შსს-ს სასაზღვრო პოლიციის 4 სამმართველოს (დედოფლისწყარო) მესაზღვრე ხვიჩა ქოქუაშვილი კიკბოქსინგში მსოფლიო ჩემპიონი გახდა. მსოფლიო ჩემპიონატი თურქეთის ქალაქ ანტალიაში გაიმართა. ქართველი მესაზღვრე დედოფლისწყაროს სპორტულ გუნდ „ჩემპიონის“ სახელით მონაწილეობდა. 23 წლის ხვიჩა ქოქუაშვილი ყველაზე პრესტიჟულ წონით კატეგორიაში (86 კგ) ასპარეზობდა. მან აშკარა უპირატესობით ოთხი ბრძოლა მოიგო, აქედან სამი – ნოკაუტით. ქართველმა მესაზღვრემ ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონები და აღიარებული ლიდერი კიკბოქსიორი – დანიელი, თურქი, ალჟირელი და ხორვატი სპორტსმენები დაამარცხა.

***„ვერსიანიუსი“***

## შსს-მ ქრთამის მიცემის ფაქტზე ერთი პირი დააკავა



შსს-ს სახელმწიფო უსაფრთხოების სააგენტოს თანამშრომლებმა ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ჩატარებული საგამოძიებო ღონისძიების შედეგად, ქრთამის მიცემის ფაქტზე 1971 წელს დაბადებული მოქალაქე კახაბერ ტ. დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს გარემოს დაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის თანამშრომლებმა დაკავებულის სარგებლობაში არსებული, ქარელის რაიონში მდებარე ხე-ტყის დამზადების სალიცენზიო ფართობის გეგმური შემოწმება ჩაატარეს, რის შედეგადაც აღმოაჩინეს 3209 ძირი წიწვოვანი და ფოთლოვანი ჯიშის ხე-ტყის უკანონოდ გაჩეხვის ფაქტი. წინასწარი მონაცემებით გარემოზე მიყენებულმა ზიანმა 850 000 ლარი შეადგინა. ამასთან, მეწარმეს სალიცენზიო პირობების შეუსრულებლობასთან დაკავშირებით ჯარიმა დაერიცხა.

გამოძიებამ ასევე დაადგინა, რომ მოქალაქე კახაბერ ტ-მ საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს გარემოს დაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის უფროსს, ქრთამის სანაცვლოდ, მოსთხოვა შემოწმების აქტში სახელმწიფოსთვის მიყენებული რეალური ზიანის მაგივრად, 150 000 ლარის ოდენობის ზიანი დაეფიქსირებინა. სამართალდამცველებმა კახაბერ ტ. გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს გარემოს დაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის უფროსისთვის ქრთამის სახით 30 000 ლარის გადაცემის დროს თბილისში დააკავეს.

გამოძიება უკანონო ქმედების ჩასადენად ქრთამის მიცემის ფაქტზე მიმდინარეობს (სსსკ-ს 339-ე მუხლის მე-2 ნაწილით).

***„ვერსიანიუსი“***



## ევროკომისიის ვიცე-პრეზიდენტი სოჭის ოლიმპიადას პროტესტის ნიშნად არ დაესწრება

ევროკომისიის ვიცე-პრეზიდენტი ვივიენ რედინგი სოჭის ზამთრის ოლიმპიადაზე დასწრებას არ აპირებს. ამ გადაწყვეტილების შესახებ რედინგი სოციალურ ქსელ „ტვიტერში“ წერს.

**„რა თქმა უნდა, არ წავალ სოჭში, უმცირესობების მდგომარეობის გამო რუსული კანონმდებლობის პირობებში“,** — წერს რედინგი, რომელიც გარდა ვიცე-პრეზიდენტობისა, ევროკომისრის თანამდებობასაც იკავებს იუსტიციის, მოქალაქეობრივი და ფუნდამენტური უფლებების საკითხებში. სოჭის ოლიმპიადას აღნიშნული მიზეზით ბოიკოტი გერმანიის პრეზიდენტმაც გამოუცხადა.

***„პირველი“***

# ნიკოლოზ მჟავანაძე: „პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია წამებით მოკლეს!“



## როგორ დაიგეგმა პრეზიდენტის ლიკვიდაცია

რუსუდან შელია
557-100-768

— საპარლამენტო კომისიის მიერ მოპოვებული მასალების მიხედვით, საქართველოს პირველი პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია მოკლულია! 1994 წლის 10 იანვარს პროკურატურის მიერ აღძრული საქმის მიხედვით კი, პრეზიდენტის გარდაცვალების მიზეზად მხოლოდ თვითმკვლელობა სახელდება. აღსანიშნავია, რომ პროკურატურა მხოლოდ რობიზონ მარგველანის, შალვა გვანცელაძის, ზაზა ბურჯანაძის, გოჩა კეკენაძის, კარლო ღურწკაიასა და ლუდმილა აბშილავას ჩვენებას ეყრდნობა, არადა არც ერთ მათგანს არ უნახავს, როგორ განხორციელდა თვითმკვლელობა ან ვინ გაისროლა. გამოძიებას, თვითმკვლელობის გარდა, სხვა ვერსია არც განუხილავს, საქმეში ძირითადი მოწმეები კი, რომლებიც დევნის ოპერაციას ხელმძღვანელობენ, დღემდე არავის დაუკითხავს, მათ შორის, არც მთავარი მოწმე ბესარიონ გუგუშვილი.

**როსტოვის დასკვნის მიხედვით კი, არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, რომ ზვიად გამსახურდია წამებით მოკლეს. ამის დასტურია ის, რომ პრეზიდენტს თავის ქალას სარქველები დეფორმირებულია, თავის ქალას ფუძე კი ისეა დაშლილი, რომ მისი აწყობა ვერ მოხერხდა. სხეულზე ცხრა ნეკნი მოტეხილია, ბოქვენისა და მენჯის ძვლები კი დაზიანებული.**

**— თუმცა ზვიად გამსახურდიას ცხედარი გროზნოში, რამდენიმე წლის განმავლობაში, დასაფლავებული იყო. გრუნტის მასასა და გროზნოში მიმდინარე საომარ მოქმედებებს ცხედრის დაზიანება არ შეეძლო?**

— პათანატომებმა აღნიშნეს, რომ გრუნტის მასის ზემოქმედება მოტეხილობებზე გავლენას ვერ მოახდენდა. თანაც პრეზიდენტის ჩასასვენებელი სასახლე გატეხილი არ ყოფილა, მხოლოდ დეფორმირებული იყო.

**— რატომ უნდა ეწამებინათ პრეზიდენტი?**

— სხვათა შორის, მოგვიანებით, პრეზიდენტის სხეულზე, ნიკაპთან მეორე ნატყვიარევიც აღმოაჩინეს, თავის უკანა ნაწილი კი გამონგრეული ჰქონდა. ზვიად გამსახურდიას მასპინძელი ლუდმილა აბშილავაც აცხადებს, როცა გარდაცვლილის თავს ხელით შევეხე, კეფასთან ხელი ჩამივარდაო. ასევე აღმოაჩინა პრეზიდენტის დაცვის წევრმა თორიამ გროზნოში, როცა ცხედარი სამეგრელოდან გადაასვენეს. ნიკაპთან ჭრილობა დაფიქსირებულია პათანატომების მიერაც. მოგეხსენებათ, როცა დევნილი პრეზიდენტი სამეგრელოში გადაადგილდებოდა, სამხედრო საბჭოს ლეგიტიმაციის პრობლემა ჰქონდა — კანონიერი ხელისუფლება დამხობილი იყო და ცოცხალი ზვიად გამსახურდიას ფაქტორი ამ კუთხით პრობლემატური იყო. ჩვენი ვარაუდით, მათ სურდათ, პრეზიდენტს გადადგომის შესახებ სატელევიზიო მიმართვა გაეკეთებინა ან გადადგომის შესახებ განცხადებაზე ხელი მოეწერა, რის შემდეგაც მას მაინც გაუსწორდებოდნენ, როგორც ეს ტაჯიკეთის პრეზიდენტს გაუკეთეს. თანხმობის ვერმიღების შემდეგ პრეზიდენტი სასიკვდილოდ აწამეს და ფიზიკური დაზიანებები მან სწორედ აქედან მიიღო. ზვიად გამსახურდიას მხოლოდ ლიკვიდაცია რომ ყოფილიყო დაგეგმილი, მას ერთი გასროლით მოუღებდნენ ბოლოს და არა წამებით. წამება რომ მართლაც იყო, ამას მოწმობს ის გარემოება, რომ ცხრა ნეკნი მოტეხილი ჰქონდა პრეზიდენტს, თავის ქალა დაზიანებული, ბოქვენისა და მენჯის ძვლებიც დაზიანებული. ამასთან 1994 წლის 17 თებერვალს დაკრძალვის ადგილიდან გვამის ამოღებისა და გარეგანი დათვალიერების ოქმში, რომელსაც ხელს აწერს 21 ადამიანი, აღნიშნულია, რომ პრეზიდენტს სახეზე 6 სხვადასხვა ზომისა და ფორმის დაზიანება აქვს.



**იმას, რომ პრეზიდენტი მოკლეს, ადასტურებენ საპარლამენტო კომისიის მიერ გამოკითხული იმდროინდელი მაღალჩინოსნები თენგიზ კიტოვანი და იგორ გიორგაძე. ისინი პრეზიდენტის მკვლელობის დამკვეთად ედუარდ შევარდნაძეს ასახელებენ.**

**— ცნობილია, რომ დევნის დროს, პრეზიდენტს გროზნოში ვერტმფრენით გაყვანა შესთავაზეს. თუკი მისი ლიკვიდაცია იყო დაგეგმილი, მაშინ რას მივაწეროთ ეს შეთავაზება?**

— თითქმის ყველა მოწმის ჩვენებაშია აღნიშნული, სამეგრელოს ტერიტორიაზე პრეზიდენტი გრძნობდა რა მდევრის სიახლოვეს, პრაქტიკულად, ყოველი მომდევნო დღის შემდეგ ადგილსამყოფელს იცვლიდაო. დღევანდელი გადასახედიდან ნათელია, რომ მაშინ ხელისუფლება ზვიად გამსახურდიას თითოეულ ნაბიჯს აკონტროლებდა.

**ოფიციალური ვერსიით, საქართველოს პირველმა პრეზიდენტმა თავი მოიკლა, თუმცა დღემდე უამრავი პასუხგაუცემელი კითხვა არსებობს, რომელიც ზვიად გამსახურდიას გარდაცვალების გარემოებებს ბუნდოვანსა და გაურკვეველს ხდის. მოწმეთა უმრავლესობა პროკურატურას დღემდე არ დაუკითხავს, გამოძიების მიერ დაკითხული პირები კი ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავებულ ჩვენებებს აძლევენ... უფლებადამცველთა გაერთიანების თავმჯდომარე ნიკოლოზ მჟავანაძე „ვერსიასთან“ დეტალურად აღწერს, ვინ ჩამოაცილა პირადი დაცვა დევნაში მყოფ ქვეყნის პირველ პრეზიდენტს და როგორ იგეგმებოდა ზვიად გამსახურდიას ფიზიკური ლიკვიდაცია.**



**პრეზიდენტის ლიკვიდაციის გეგმა, ჯერ კიდევ 16-17 ნოემბერს, სოფელ ჩვინარეშში შედგა, სადაც ბადრი ზარანდია, ზურაბ შონია, ძმები გია და გოჩა სარიები, გოჩა ხარებავა, ბეჟან წურწუმია და სხვა პირები შეიკრიბნენ და ხელისაწევით ზვიად გამსახურდიას ლიკვიდაციის გეგმის განხორციელებაზე თანხმობა დაადასტურეს. გია გულუასა და ბადრი ზარანდიას დაჯგუფებების წევრებმა პრეზიდენტს ქვეყნის დატოვება მოსთხოვეს და სვანეთში ან გროზნოში ვერტმფრენით გადაყვანა შესთავაზეს. არსებული გეგმის თანახმად, ვერტმფრენის აფეთქება იგეგმებოდა და ყველაფერი უბედურ შემთხვევას დაბრალდებოდა, რის გამოც ზვიად გამსახურდიამ მათ წინადადებაზე უარი განაცხადა, ამიტომ დაიგეგმა თვითმკვლელობის ინსცენირება.**

**— პრეზიდენტის დაცვასთან დაკავშირებით რას იტყვით?**

— რაც შეეხება პრეზიდენტის დაცვას, მათი ჩამოშორების პროცესი დიდი ხნით ადრე დაიწყო და დასრულდა ჯიხაშკარში. მოგეხსენებათ, 1993 წლის 22 დეკემბრიდან 28 დეკემბრის ჩათვლით, პრეზიდენტი სოფელ ჯიხაშკარში, ჯონსონ კვარცხელიას სახლში იმყოფებოდა. როგორც მასპინძელი აცხადებს, ზვიად გამსახურდია მათთან გამოზამთრებას გეგმავდა, რისთვისაც პრეზიდენტმა ჯონსონ კვარაცხელიას საკლავისა და საკვები პროდუქტების შესაძენად გარკვეული თანხა შესთავაზა, თუმცა როგორც ჯონსონ კვარაცხელია საპარლამენტო კომისიის გამოკითხვისას აცხადებს, რამდენიმე დღეში მასთან ანატოლი და ზაურ ჩუხუები მივიდნენ და აცნობეს, რომ გუჯუჯი ებრალიძის განცხადებით, მისი სახლი გაცემული იყო, ამიტომ პრეზიდენტი სხვა სახლში დაუყოვნებლივ უნდა გადაეყვანათ. როგორც აღმოჩნდა, ჩუხუებს ზვიად გამსახურდიას გადასაყვანად სახლიც უკვე შერჩეული ჰქონდათ — პრეზიდენტს ღურწკაიების ოჯახში გადავიყვანთ, კაციშვილი ახლოს არ ცხოვრობს და ეზოში გამოსვლასაც თავისუფლად შეძლებსო. ჩუხუებმა ისიც დასძინეს, ღურწკაიებს მხოლოდ ოთხი პირის მიღება შეუძლიათ, მეტი ადგილი არ აქვთო. არადა, ღურწკაიების სახლი უზარმაზარი იყო და პრეზიდენტის გარემოცვის სრულად დაბინავების შესაძლებლობა არსებობდა, თუმცა მაშინ გადაწყდა, რომ ჯონსონ კვარაცხელიას ოჯახში დაცვის ორი წევრი ზაზა ბურჯანაძე და გოჩა კეკენაძე უნდა დარჩენილიყვნენ. ფაქტია, ჯონსონ კვარაცხელიას ოჯახიდან ღურწკაიების სახლში გადაყვანა პრეზიდენტისთვის პირადი დაცვის ჩამოშორების მიზნით განხორციელდა. მოწმეთა ჩვენების მიხედვით, პრეზიდენტი ჯიხაშკარიდან ძველ ხიბულაში გადაიყვანეს. როცა საპარლამენტო კომისიამ საგამოძიებო ექსპერიმენტი ჩაატარა, აღმოჩნდა, რომ სოფლებს შორის მანძილის გასავლელად 30 წუთი სავსებით საკმარისია, თუმცა პრეზიდენტის გარემოცვას სოფელ ხიბულამდე, დაახლოებით, ხუთი საათი დასჭირდა.

**— ვარაუდობთ, რომ პრეზიდენტის გატაცება და წამება სწორედ დროის ამ მონაკვეთში განხორციელდა?**

— დიახ, პრეზიდენტი სწორედ ამ დროს დააკავეს და აწამეს. პარალელურად, თანმხლები პირებისგან ბესარიონ გუგუშვილი გააცალკევეს. არსებობს საფუძვლიანი ეჭვიც, რომ იგი უშიშროების სპეცსამსახურის თანამშრომლებმა „დაამუშავეს“. კომისიაში არსებული ფაქტებიც ამას მიანიშნებს.

კერძოდ, როდესაც ბესარიონ გუგუშვილი პრეზიდენტის გარდაცვალების შემდგომ სამეგრელოდან გროზნოში ჩავიდა, თავის მეგობარს არჩილ საჯაიას უთხრა, რომ საღამოხანს, პრეზიდენტი და მისი თანმხლები პირები მანქანით გადაადგილებისას შეიარაღებულმა რაზმმა პიკეტზე გააჩერა და მანქანიდან ზრდილობიანად გადმოიყვანა. აღნიშნული პირები ქართულ ენაზე არ საუბრობდნენ. მათ გუგუშვილს თვალები აუხვიეს, სხვა მანქანაში გადასვეს და გაურკვეველი მიმართულებით წაიყვანეს. მიიყვანეს მცირე ზომის ხის სახლში, სადაც დაახლოებით 2 დღე დაჰყო. სახლს შეიარაღებული პირები იცავდნენ და გუგუშვილს სახლის დატოვების საშუალებას არ აძლევდნენ. გუგუშვილის თქმით, 2 დღის შემდეგ იგი მიიყვანეს სულ სხვა სახლში, სადაც პრეზიდენტი და მისი დაცვის წევრები იმყოფებოდნენ. მას პრეზიდენტის ცნობა ძალიან გაუჭირდა. ეს პიროვნება ზვიადს ჰგავდა, მაგრამ დაბეჯითებით უჭირდა იმის მტკიცება, იყო თუ არა, ზვიადი. იგი არ ლაპარაკობდა, საჭმელს არ ჭამდა და სვავდა მხოლოდ წყალს. გუგუშვილის მისვლიდან მეორე დღეს კი თვითმკვლელობით დაასრულა სიცოცხლე. გუგუშვილმა საჯაიას უთხრა, რომ მან აჭარის გავლით, სამეგრელოდან გროზნოში ჩასვლა ისე მოახერხა, გზაში არავის გაუჩერებია. ზემოაღნიშნული მიუთითებს, რომ ჩატარდა სპეცოპერაცია, რომლის დროს დაცვა, პრეზიდენტი და გუგუშვილი განცალკევებულნი იყვნენ. წარმოიდგინეთ, ჯონსონ კვარაცხელიას ოჯახიდან გამოსვლის დროს თითოეული მოწმე განსხვავებულად იხსენებს:

*გაგრძელება მე-4 გვერდზე*

# ნიკოლოზ მჟავანაძე: „პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია წამებით მოკლეს!“

*მე-3 გვერდიდან*

ზაზა ბურჯანაძე აცხადებს, რომ ძველ ხიბულაში გადასვლა 27-28 დეკემბერს, დაახლოებით, 24:00 საათზე მოხდა. გოჩა კეკენაძის მტკიცებით, კვარაცხელიას სახლიდან გასვლის თარიღი 26 დეკემბრის ღამის საათები იყო. ანატოლი ჩუხუა იხსენებს, რომ პრეზიდენტმა ჯონსონ კვარაცხელიას სახლი 27 დეკემბერს, შებინდებისას დატოვა. თავად ჯონსონ კვარაცხელია ყვება, რომ მისი სახლიდან დევნილი ზვიად გამსახურდია და მისი თანმხლები პირები 28 დეკემბრის 18 საათზე გავიდნენ, როცა ჯერ კიდევ ბუნებრივი ნათება იყო და ადამიანების გარჩევა იოლად შეიძლებოდა. შესაბამისად, არსებობს ეჭვი, რომ მოწმეები შეგნებულად ტყუიან და პრეზიდენტის გადაყვანის თარიღის დაზუსტებას თავს არიდებენ, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში, უამრავი დამატებითი შეუსაბამო და ურთიერთგამომრიცხავი ფაქტი გამოიკვეთება. საინტერესოა ისიც, რომ ჯიხაშკარიდან გამოსვლისას, მანქანაში მყოფ პირთა განლაგება ვერავინ დაასახელა, მათ შორის, ვერავინ გაიხსენა, ვინ იჯდა პრეზიდენტთან. ეს დეტალი კიდევ ერთხელ მიანიშნებს, რომ ამ ადამიანებს სიმართლის გამხელა არ სურთ.

**— ერთმანეთს არ ემთხვევა მოწმეთა ჩვენებები პრეზიდენტის ჩაცმულობასთან დაკავშირებითაც...**

— დიახ, ჯონსონ კვარაცხელია აცხადებს, რომ პრეზიდენტი მისი სახლიდან შემდეგი ჩაცმულობით გავიდა: ორბორტიანი, ნაცრისფერი პიჯაკი, სამხედრო „უშანკა“ და პალტო, რომელიც ჩანთაში ედო. ანალოგიურ ჩაცმულობას ზვიად გამსახურდიას წინა მასპინძელი, სოფელ ჯაღრის მკვიდრი, ანზორ მებონიას ძმისშვილი გოდერძი მებონიაც აღწერს, კარლო ღურწკაია კი ამტკიცებს, რომ პრეზიდენტი მის სახლში ტანზე ნაბდისმაგვარი სამოსით, თავზე ჩეჩნური ფაფახითა და მაღალძირიანი ფეხსაცმლით მივიდა; რობიზონ მარგველანი აცხადებს, რომ პრეზიდენტს მისი ნაჩუქარი სვანური ქუდი ეხურა. სხვათა შორის, რობიზონ მარგველანმა, ჩვენების მიცემისას, ძველ ხიბულაში მდებარე სახლის მეპატრონეების ვინაობაც ვერ გაიხსენა. კითხვაზე, ვინ გაუწია პრეზიდენტს ბოლო მასპინძლობა ძველ ხიბულაში, რობიზონ მარგველანმა, კარლო ღურწკაიას ნაცვლად, „ვიღაც ლადო“ დაასახელა. წარმოუდგენელია, მარგველანს არ სცოდნოდა იმ პირთა ვინაობა, ვისთანაც რამდენიმე დღის განმავლობაში ცხოვრობდა.

**— და რატომ იცრუა რობინზონ მარგველანმა?**

— ვერ ვიტყვი, მან მოკლა ზვიად გამსახურდია თუ პრეზიდენტის მკვლელობას ხელი შეუწყო, რადგან ამით უდანაშაულობის პრეზუმპციას დავარღვევ. ყველაფერი საზოგადოებამ განსაჯოს, მე მხოლოდ ფაქტებს გავახმაურებ. პრეზიდენტის გარდაცვალების თარიღთან დაკავშირებითაც მოწმეები საკმაოდ შეუსაბამო ჩვენებებს აძლევენ. მაგალითად, რობიზონ მარგველანი პრეზიდენტის გარდაცვალების თარიღად 1993 წლის 31 დეკემბერს, დაახლოებით, 01:00 საათს ასახელებს. ა. გვანცელაძის განცხადებით კი, პრეზიდენტი 30 დეკემბერს, გვიან ღამით გარდაიცვალა. მასპინძელი კარლო ღურწკაია აცხადებს, რომ ზვიად გამსახურდია 31 დეკემბერს, 01:30 საათზე, გარდაიცვალა, ხოლო მისი მეუღლე იგივე ფაქტს 1993 წლის 30 დეკემბრით ათარიღებს. გოჩა კეკენაძის განცხადებით, 1993 წლის 29 დეკემბერს მათთან უცნობი პიროვნება, ვინმე გულიკო მივიდა, რომელმაც ისინი რამდენიმე წუთში რობიზონ მარგველანს შეახვედრა და პრეზიდენტის თვითმკვლელობა აცნობა. დაკითხვის პროცესში, რამდენიმე წუთში, გოჩა კეკენაძემ განაცხადა, რომ იგივე ფაქტი 1993 წლის 31 დეკემბერს მოხდა. როგორც ვხედავთ, შეუსაბამო ფაქტებს ერთსა და იმავე ჩვენებებშიც ვაწყდებით. დროებითი საპარლამენტო კომისიის მიერ წარმოებული გამოკითხვისას, რობიზონ მარგველანმა პრეზიდენტის გარდაცვალების თარიღად, თავდაპირველად, 1993 წლის 31 დეკემბერი დაასახელა, თუმცა როცა ჰკითხეს — 30 დეკემბერს, 19:00 საათზე, რუსეთის საინფორმაციო საშუალებებით გავრცელდა ინფორმაცია, რომ ზვიად გამსახურდიამ სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულაო, მარგველანმა ჩვენება შეცვალა და ზვიად გამსახურდიას გარდაცვალების დღედ, ამჯერად, 30 დეკემბერი დაასახელა.




**— ცნობილია, რომ გარდაცვალების დროს პრეზიდენტის ოთახში ბესარიონ გუგუშვილი იმყოფებოდა და მისი განმარტება პრეზიდენტის გარდაცვალებასთან დაკავშირებით, ძალზე საინტერესოა.**

— ბესარიონ გუგუშვილი აცხადებს, რომ გასროლის დროს, მან „ტაშტის“ დავარდნის ხმა გაიგონა. ნებისმიერი ექსპერტი დაადასტურებს, რომ „სტეჩკინის“ იარაღის გავარდნისას, გვერდით მყოფი ადამიანი, შესაძლოა, დაყრუვდეს. როგორც მინიმუმ, ბესარიონ გუგუშვილი შოკში უნდა ჩავარდნილიყო, თუმცა, როგორც თავად ამტკიცებს, მან სახლში მყოფ პირებს გასძახა — პრეზიდენტი „ტაშტში“ აღებინებსო. ოჯახის დიასახლისი ლუდმილა აბშილავა ყვება, რომ, დაახლოებით, ღამის 12 საათზე, საგნის დავარდნის ძლიერი, ყრუ ხმა გაიგონა, შემდეგ კი პრეზიდენტის თანმხლებ პირთა ყვირილი შემოესმა — ვაიმე, დავიღუპეთ, ზვიადმა თავი მოიკლაო. როცა ლუდმილა აბშილავა სახლის ზემო სართულზე ავიდა, პრეზიდენტს ხელები და სახე აკრული ჰქონდა, ტანზე კი შარვალი და პიჯაკი ეცვა, რამაც მისი გაკვირვება გამოიწვია. როგორც ლუდმილა აცხადებს, დაახლოებით, ერთი საათის წინ, როცა ზვიად გამსახურდიას ჩაი მიართვა, პრეზიდენტს სპორტული პიჟამა ეცვა. ეს ფაქტი კიდევ ერთხელ ამყარებს ჩვენს ეჭვს, რომ პრეზიდენტი წამების დროს მოკლეს, ღურწკაიების სახლში კი, ზვიად გამსახურდიას სახით, სხვა პიროვნება მიიყვანეს. რადგან ლუდმილა აბშილავას განცხადებით, სიკვდილამდე მან პრეზიდენტი სპორტულ პიჟამაში ნახა, ხოლო „თვითმკვლელობის“ შემდეგ იგი უკვე შარვალ-კოსტუმში იყო ჩაცმული... მოწმეები კი აცხადებენ, პრეზიდენტი იმ მომენტში ისე ცუდად იყო, წამოდგომას ვერ ახერხებდა და ლოგინში იწვაო, სამაგიეროდ, ის კი შეძლო, რომ „თვითმკვლელობამდე“ პიჟამა გაიხადა და შარვალ კოსტუმი ჩაიცვა?!

ამასთან აღსანიშნავია, რომ კრიმინალისტის განცხადებით, გასროლა უნდა მომხდარიყო არანაკლებ 100-200 მმ მანძილიდან და ზემოთ, რადგან არ შეიმჩნევა ბჯენითა და ახლო მანძილისთვის დამახასიათებელი დაზიანებები, აღნიშნულს ადასტურებს ქ. როსტოვში ჩატარებული ექსპერტიზა. ამ ექსპერტიზის დასკვნაში ნათქვამია ტყვიის მოძრაობის მიმართულება მარჯვნიდან მარცხნივ, რამდენადმე ზემოდან ქვემოთ, რამდენადმე წინიდან უკან, რაზედაც მიუთითებს შემავალი და გამომავალი ხვრელები. აქედან გამომდინარე შეიძლება ითქვას, ავტომატური პისტოლეტის „სტეჩკინის“, რომლის წონა დამუხტულ მდგომარეობაში 1420 გრამია, ხელში დაჭერა თვითმკვლელობის მიზნით, ლულით 100-200მმ მანძილზე და ისე, რომ ტყვიის მიმართულება იყოს მარჯვნიდან მარცხნივ, ზემოდან ქვემოთ, წინიდან უკან, ფიზიკურად შეუძლებელია. ვთქვათ, თვითმკვლელობის მიზნით, ავტომატური პისტოლეტი „სტეჩკინით“ განხორციელებულიყო საფეთქლის არეში სროლა იმ მიმართულებით, როგორც აღწერილია ქ. როსტოვში ჩატარებული ექსპერტიზის დასკვნაში, მსროლელი (ამ შემთხვევაში თვითმკვლელი) იძულებული იქნებოდა, მიეტანა იარაღის ლულა თავის ქალასთან, რაც უმეტეს შემთხვევაში, გამოიწვევდა საფეთქლისა და სალისებრი ძვლის განგრევას ცეცხლსასროლი იარაღის ლულიდან გამოტყორცნილი აირების მეშვეობით, რომლის წნევა ლულაში შეადგენს 1200-2000 კგ/სმ2 და ლულის გარეთ ეცემა გავრცელების მანძილის შესაბამისად. აღნიშნული მოქმედება ასევე გამოიწვევდა დიდი რაოდენობის სისხლისა და სხვადასხვა სხეულის ნაწილაკების გამოდინება-გამოფრქვევას შემავალი და გამომავალი ხვრელებიდან, რაც მოწმეთა ჩვენებებსა და ასევე საგამოძიებო კომისიის მიერ მოპოვებულ მასალებში არ ფიგურირებს. ასევე აღსანიშნავია, რომ დაკარგულია დანაშაულის იარაღი, გასროლილი ტყვიის ლულა, მასრა, განადგურებულია ყველა ის მტკიცებულება შემთხვევის ადგილიდან, რომელიც საქმეზე ობიექტურ ჭეშმარიტებას დაადგენდა.

**ასევე აღსანიშნავია, რომ სისხლის სამართლის საქმეში, გენერალური პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა უფროსი გამომძიებლის ო. ჯაფარიძის №18. 05. 2001. წერილში ვკითხულობთ: რობიზონ (რობერტ) მარგველანის თქმით, ზვიად გამსახურდიამ თავი მოიკლა „სტეჩკინის“ კონსტრუქციის მაყუჩიანი პისტოლეტით, რომელიც ამოღებული და გამოკვლეული არ ყოფილა.**

განსაკუთრებულ საქმეთა უფროსმა გამომძიებელმა ო. ჯაფარიძემ, წერილობით აცნობა რა ადამიანის უფლებათა დამცველ არასამთავრობო საზოგადოებას, მიუთითა წყარო, საიდანაც ჰქონდა მას ეს ინფორმაცია, თუმცა მარგველანის ჩვენებების შესწავლამ ეს არ დაადასტურა. როგორც ჩანს, გამქრალია მაყუჩის არსებობის შესახებ პირველწყარო. ძნელი სავარაუდოა, რომ განსაკუთრებულ საქმეთა უფროს გამომძიებელ ო. ჯაფარიძეს, უბრალოდ, შეშლოდა და სიტყვა „მაყუჩი“ გამოეყენებინა ისე, რომ ამის არსებობის შესახებ ინფორმაცია არ ჰქონოდა რომელიმე წყაროდან — მოწმის ჩვენებიდან და სხვა. თვითონ მაყუჩის არსებობის ფაქტი უკვე გამორიცხავს თვითმკვლელობის ვერსიას, რადგან მაყუჩი იარაღს კიდევ უფრო აგრძელებს და სრულიად გამორიცხავს თვითმკვლელის მიერ მისი ხელში დაჭერისა და სროლის განხორციელების შესაძლებლობას იმ კუთხით, რომელზედაც მოწმეები და ქალაქ როსტოვში ჩატარებული ექსპერტიზის დასკვნა მიუთითებს. სხვათა შორის, მაყუჩის არსებობაზე გარკვეულწილად მიუთითებს თვითონ რობიზონ მარგველანისა და კარლო ღურწკაიას მეუღლის, ლუდმილა აბშილავას განცხადებები, რომ მათ შემოესმათ სროლის ყრუ ხმა, რაც სწორედ მაყუჩიანი იარაღიდან განხორციელებულ გასროლაზე მიუთითებს.

**— მტკიცებულებები პრეზიდენტის თანმხლებმა პირებმა გაანადგურეს?**

— იარაღის გარდა, დანაშაულის ყველა კვალი განადგურებულია. განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს საგნების ის მონაკვეთები, სადაც ძნელია სისხლის კვალის განადგურება — იატაკის ღარები, პლინთუსების ქვეშ, ტანსაცმლის ნაკერები, ღილები და ჯიბის სარჩული. სისხლის გუბის მკვეთრი საზღვრები მიუთითებს გვამის პირველადი მდგომარეობის შეუცვლელობაზე. მოწმეები კი ერთმანეთისგან განსხვავებულ მდგომარეობაში აღწერენ მიცვალებულს, რაც არანაირად დამაჯერებელი არ არის.

1. **თვითმხილველები პრეზიდენტის გვამს აღწერენ სხვადასხვაგვარად. მისი მდგომარეობით დაწყებული ჩაცმულობით დამთავრებული. რობინზონ მარგველანი და შალვა (ბაჩუკი) გვანცელაძე უთითებენ, რომ პრეზიდენტს იარაღიანი ხელი მუცელზე ჰქონდა დადებული, ხოლო კარლო ღურწკაია აღნიშნავს, რომ პრეზიდენტს მარჯვენა ხელი გაშლილ მდგომარეობაში საწოლიდან გადმოვარდნილი ჰქონდა.**

2. **შემთხვევის ადგილზე სისხლის არარსებობა სხეულის დაზიანებისას, რომელიც სისხლდენას იწვევს მიუთითებს იმაზე, რომ გვამი გადატანილია დანაშაულის ადგილიდან, რასაც საპარლამენტო კომისიის გამოკითხვაში აღნიშნავს ნუკრი ღურწკაია. მისი თქმით, პრეზიდენტის სხეულზე სისხლის კვალი მისთვის შეუმჩნეველი დარჩა.**

3. **გვამის ტანსაცმელზე ახალი და გამშრალი სისხლის ნაღვენთები წარმოიქმნება გვამის გადატრიალებისას. სხეულის**

*დასასრული მე-5 გვერდზე*

# ნიკოლოზ მჟავანაძე: „პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია წამებით მოკლეს!“

*მე-4 გვერდიდან*

**თრევისას ტანსაცმელზე ზოლად წარმოიქმნება ლაქა წანაცხების სახით. რომეო კუჭუხიძის ჩვენებით, პრეზიდენტს გარდაცვალების დროს რომელი ტანსაცმელიც ეცვა, ნახა გარეცხილი, ქალაქ ბათუმში შალვა (ბაჩუკი) გვანცელაძესთან. აღნიშნული მოქმედებით განადგურდა სისხლის კვალი.**

4. **სხეულის დაზიანების მომენტში დაზარალებულის ვერტიკალურ მდგომარეობაში ყოფნაზე შეიძლება მიუთითებდეს ტანსაცმელზე ვერტიკალური ჩამონაღვენთებისა და ფეხსაცმელზე წვეთისებური ლაქების არსებობა. აღსანიშნავია, რომ პრეზიდენტს ფეხსაცმელი არ ეცვა, თუ ვერ ჩააცვეს (იხ. 1994 წლის 17 თებერვლის დათვალიერების ოქმი).**

5. **სისხლის გუბის არსებობა მიანიშნებს დიდ სისხლდენაზე. იგი წარმოიშობა მსხვილი სისხლძარღვების დაზიანების, ან შედარებით წვრილი სისხლძარღვებიდან ხანგრძლივი სისხლდენით. სისხლის გუბის ფორმა და ზომა დამოკიდებულია არა მარტო დაღვრილი სისხლის რაოდენობაზე, არამედ იმ საგნის თვისებაზე, რაზედაც იგი მოხვდა. ერთ-ერთი თვითმხილველი ზაზა ბურჯანაძე, რომელიც შემთხვევის ადგილზე მომხდარი ფაქტიდან რამდენიმე საათში მიიყვანეს, პროკურატურისადმი მიცემულ ჩვენებაში განმარტავს, რომ პრეზიდენტის საწოლთან იდგა „ტაშტი“, რომელზედაც წვეთავდა გარდაცვლილი პრეზიდენტის თავის არედან მომდინარე სისხლი.**

აქვე აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ჯონსონ კვარაცხელიას პროკურატურისთვის 1999 წლის 12 თებერვალს მიცემული ჩვენებით, ასევე რობიზონ მარგველანის 1997 წლის 22-27 თებერვალს მიცემული ჩვენებით, გარდაცვლილი პრეზიდენტის ორივე ლეიბი, ხიბულადან ჯიხაშკარში გადასვენების შემდეგ, დიზელის დასხმით დაიწვა და განადგურდა ჯონსონ კვარაცხელიას ეზოში. მოწმეთა არც ერთ ჩვენებაში მითითებული არ არის, თუ სად გაქრა პრეზიდენტის საბანი, ხოლო რაც შეეხება პრეზიდენტის ბალიშს, იგი ვითომ რელიქვიის სახით, ინახებოდა ძველ ხიბულაში, ღურწკაიას ოჯახში. ოჯახის დიასახლისის ლუდმილა აბშილავა-ღურწკაიას 1999 წლის 5 თებერვალს პროკურატურისთვის მიცემული ჩვენებით, წლების განმავლობაში მან პრეზიდენტის ბალიში დაშალა, გარეცხა და შეუცვალა პირი. ამის შემდეგ აღნიშნული განახლებული ბალიში 2004 წლის საქართველოს მთავარმა პროკურატურამ ამოიღო და საქმეში ინახება, როგორც ნივთმტკიცება.

რაც შეეხება პრეზიდენტის ტანსაცმელს, პრეზიდენტის პირადი დაცვის წევრის ბადრი გოგელაშვილის ინფორმაციით, მან ის მიიღო პრეზიდენტის დაცვის უფროსის რობიზონ მარგველანისგან, რომელმაც გოგელაშვილს განუცხადა, რომ პრეზიდენტის ტანსაცმელი ჩაუტანა ქალაქ ბათუმში ქალბატონ ლამარა კერვალიშვილს. იყო თუ არა აღნიშნულ ტანსაცმელზე სისხლის ლაქები, მისთვის უცნობია. შემდეგ მან შეიტყო ისევ რობიზონ მარგველანისგან, რომ ეს ტანსაცმელი მან ჩაიტანა უკვე თბილისში, პრეზიდენტის ოჯახისთვის გადასაცემად. შემდეგ მარგველანის თხოვნით, ბადრი გოგელაშვილმა პირადად დაურეკა პრეზიდენტის ვაჟს, ცოტნე გამსახურდიას და მოახსენა, რომ მისთვის რობიზონ მარგველანს სურდა პრეზიდენტის ტანსაცმლის გადაცემა, რაზედაც მან თანხმობა განაცხადა, მაგრამ ცოტნე გამსახურდია მოულოდნელად რუსეთში გაემგზავრა და მისთვის ტანსაცმლის გადაცემა ვერ მოხერხდა, ხოლო რა ბედი ეწია შემდგომში ტანსაცმელს, ბადრი გოგელაშვილისთვის უცნობია. 2011 წლის 17 იანვარს, ლამარა კერვალიშვილის საპარლამენტო გამოკითხვისას, პრეზიდენტის კუთვნილი ტანსაცმლიდან მისი ყურადღება მიიქცია მოყავისფრო ზოლებიანმა ნაქსოვმა ჯემპრმა, რომელზედაც აღინიშნებოდა დიდი ზომის სისხლის ლაქა კისრის არეში და მცირე ზომის სისხლის ლაქა მარცხენა სახელოზე. ასევე ნაცრისფერ შარვალზე, უკან, სათავესთან აღინიშნებოდა მცირე ზომის სისხლის ლაქა. რობიზონ მარგველანი საპარლამენტო გამოკითხვაში ახსენებს ჯემპრს, რომელიც პრეზიდენტს გარდაცვალების მომენტში ეცვა. თუკი დავუშვებთ, რომ ეს, მართლაც, ასე იყო, გაუგებარია, ორი სისხლმდენი ჭრილობა, შემავალი და გამომავალი, როგორ შეიძლება მეტი მოცულობის სისხლის კვალს არ ტოვებდეს პრეზიდენტის სამოსზე, ვიდრე ზემოაღნიშნულ გამოკითხვაშია მითითებული. ლამარა კერვალიშვილის შეკითხვაზე, სად წავიდა ის ტანსაცმელი, რომელშიც, მთავარი მოწმეების თქმით, პრეზიდენტმა თავი მოიკლა, მარგველანმა განაცხადა, რომ ეს ტანსაცმელი მათ პრეზიდენტს სასვენებელში ჩაატანეს. აღნიშნულ ჯემპრსა და შარვალზე რობიზონ მარგველანს ლამარა კერვალიშვილთან საუბრისას არაფერი უთქვამს.

**— რატომ არ დაინიშნა ექსპერტიზა გროზნოში, იქ ხომ არ იყო შევარდნაძის ხელისუფლება, რომელსაც პირველი პრეზიდენტის ოჯახი არ ენდობოდა?**

— სანამ პრეზიდენტის ცხედარს გროზნოში გადაასვენებდნენ, გავრცელდა ინფორმაცია, რომ შევარდნაძე ჯოჰარ დუდაევს შეხვდა. ბუნებრივია, ჩეჩნები საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედებდნენ და სახელმწიფოს ზვიად გამსახურდიას ვერ გადააყოლებდნენ. ზვიადი ცოცხალი აღარ იყო და ისინი უკვე იძულებულნი იყვნენ, ახალი რეალობისთვის გაესწორებინათ თვალი.. შესაძლებელია, მანანა არჩვაძე აღარ ენდობოდა დუდაევს, რომელსაც შევარდნაძესთან ურთიერთობის დალაგების სურვილი გაუჩნდა. მართალია, დუდაევი ზვიად გამსახურდიას მხარს უჭერდა, თუმცა მისი დამარცხების შემდეგ უნდა შეგუებოდა აზრს, რომ შევარდნაძესთან თანამშრომლობა მოუწევდა, ამდენად მანანა არჩვაძე, ალბათ, არ ენდობოდა იქაურ ექსპერტიზასაც.

**— კონსტანტინე გამსახურდიას განცხადებით, წინა ხელისუფლების პირობებში, კომისიის მასალები პროკურატურას გადაუგზავნა, თუმცა გამოძიების განახლების სურვილი მაშინ არავის გამოუთქვამს. დღეს თუ გაქვთ ზვიად გამსახურდიას გარდაცვალების რეალური მიზეზის დასადგენად გამოძიების დაწყების მოლოდინი?**

— კომისიის დასკვნას პროკურატურის მხრიდან დღემდე არავითარი რეაგირება არ მოყოლია. მიუხედავად იმისა, რომ მტკიცებულებათა ნაწილი განადგურებულია, საქმის გახსნა მაინც შესაძლებელია. თანაც ჩვენ რიგითი ადამიანის კი არა, პრეზიდენტის გარდაცვალების გამოძიებაზე ვსაუბრობთ. კომისიას მოწმეების საზღვარგარეთიდან ჩამოყვანის უფლება არ აქვს, თუმცა პროკურატურას შეუძლია ამის გაკეთება.. არსებობს ეჭვი, ვინ არის ზვიად გამსახურდიას მკვლელობის დამკვეთი, პრეზიდენტს რუსებიც დასდევდნენ მოსაკლავად, მაგრამ ვფიქრობ, ყველაფერი ქვეყნის შიგნით დაიგეგმა. გია გულუა ხმამაღლა აცხადებდა — ზვიად გამსახურდია „ზვიადისტების“ ხელით უნდა მოკვდესო, თუმცა დარწმუნებული ვარ, მხოლოდ რიგითი მაღალჩინოსნები ამ საქმეს ვერ განახორციელებდნენ. გამოძიებამ მთავარი დამკვეთის ვინაობა უნდა დაადგინოს, რაც არც ისე რთულია.





## შსს-მ ქრთამის აღების ფაქტზე რეინჯერი დააკავა

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ანტიკორუფციული სააგენტოს თანამშრომლებმა ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად გამოავლინეს და ქრთამის აღების ფაქტზე ამხილეს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოს კოლხეთის ეროვნული პარკის უბნის რეინჯერი ილია კაპანაძე.

გამოძიებამ დაადგინა, რომ დაცული ტერიტორიების სააგენტოს კოლხეთის ეროვნული პარკის უბნის რეინჯერმა ილია კაპანაძემ სამსახურებრივი მფარველობით მოქალაქეს პალიასტომის ტბაზე უკანონო თევზჭერის სანაცვლოდ ქრთამის სახით მოსთხოვა და გამოართვა თანხა. ილია კაპანაძე ამ დროისთვის დაკავებულია. გამოძიება ქრთამის აღების ფაქტზე მიმდინარეობს (სსსკ-ს 338-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, რაც 6-დან 9 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს).

***„ვერსიანიუსი“***



## ლენინის ძეგლის ჩამოგდებას კიევში, მასობრივი უწესრიგობის კვალიფიკაცია მიეცა

უკრაინის მილიციამ კიევის ცენტრში ლენინის ძეგლის დემონტაჟს მასობრივი უწესრიგობის კვალიფიკაცია მისცა, — იუწყება უკრაინული სააგენტო УНИАН. საქმე მასობრივი უწესრიგობის მუხლით აღიძრა, რაც 8 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. ძეგლის დემონტაჟზე პასუხისმგებლობა საკუთარ თავზე ნაციონალისტურმა პარტია „სვობოდამ“ აიღო. „სვობოდას“ წევრის, უმაღლესი რადას დეპუტატის იგორ მიროშნიჩენკოს განცხადებით, ძეგლი სახალხო დეპუტატებმა ერთობლივი ძალებით ჩამოაგდეს, აქციაში დაახლოებით 300 კაცი მონაწილეობდა.

ლენინის ძეგლის დემონტაჟს დეპუტატმა იური სიროტიუკმა „საბჭოთა ოკუპაციის დამთავრების“, „უკრაინის დეკოლონიზაციის“, „ტოტალიტარულ აზროვნოებასთან დამშვიდობებისა“ და „ისტორიული სამართლიანობის აღდგენის“ დღე უწოდა. ამასთან, პოლიტიკოსმა მონუმენტის ჩამოგდება არა რომელიმე საზოგადოებრივ მოძრაობას, არამედ, მთლიანად უკრაინულ საზოგადოებას მიაწერა. მილიციაში განაცხადეს, რომ მოედანზე შეკრებილი ხალხის მასაში „სვობოდას“ დროშა ჩანდა, თუმცა ძეგლის ჩამოგდება პარტიის წევრებს არ მიეწერება. სამართალდამცავთა განცხადებით, მონუმენტი ნიღბიანმა ხალხმა ჩამოაგდო. ოპოზიციის მიტინგზე კიევში ბესარაბიის მოედანზე ლენინის ძეგლის დემონტაჟი 8 დეკემბერს მოახდინეს.

***„ნიუსპრესი“***

## ირაკლი ალასანიასა და ჯონ მაკკეინს შორის სატელეფონო საუბარი შედგა

საქართველოს თავდაცვის მინისტრმა, ირაკლი ალასანიამ და ამერიკელმა სენატორმა ჯონ მაკკეინმა, სატელეფონო საუბრისას საქართველო-ამერიკას შორის ორმხრივი ურთიერთობების საკითხები განიხილეს. თავდაცვის მინისტრმა და ამერიკელმა სენატორმა საქართველოსა და აშშ-ს შორის არსებული სტრატეგიული თანამშრომლობის ძირითადი ასპექტები მიმოიხილეს.

საუბარი ასევე შეეხო, როგორც ქვეყნისა და რეგიონის უსაფრთხოების, ასევე საქართველოს ნატო-ში გაწევრიანების საკითხს. ირაკლი ალასანიამ ამერიკელ სენატორს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის, დემოკრატიის, უსაფრთხოებისა და ქვეყნის ნატო-ში გაწევრიანების მიმართ ურყევი მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადა.

***„ნიუსპრესი“***

# დიდი ლილოს მოსახლეობა დარღვევებით მოწყობილი ნაგავსაყრელის გაუქმებას მოითხოვს

მერაბ ბერიძე
599-45-50-26

**დიდი ლილოს მოსახლეობა, თბილისის საყოფაცხოვრებო ნარჩენების პოლიგონის დაკონსერვებასა და სხვაგან გადატანას მოითხოვს. ადგილობრივების განცხადებით, ნაგავსაყრელი გარემოს დაბინძურების წყაროს წარმოადგენს და გაუსაძლის პირობებში უწევთ ცხოვრება. თუ ხელისუფლება მოთხოვნას არ გაითვალისწინებს, დაზარალებულები სასამართლოს მიმართავენ.**



ლილოს პოლიგონი ყველაზე დიდი ნაგავსაყრელია, სადაც მთელი დედაქალაქის ნარჩენები გროვდება. ტერიტორიაზე ყოველდღიურად ორასიოდე მანქანით, 1000-1200 ტონა ნაგავი შედის, რომელიც მიწის ფენით იფარება, დღეში სამჯერ იპრესება და ადგილს ახალ ნაგავს უთმობს. 7 ჰექტარზე გადაჭიმული ღია ტიპის ობიექტი, აეროპორტსა და ლილოს შორის, 700-კომლიან დასახლებულ ტერიტორიასთან, ერთ კილომეტრში მდებარეობს, ამიტომ დაბინძურებული გარემო და სხვადასხვა ტიპის მღრღნელები, ფრინველები ადგილობრივ მცხოვრებლების ჯანმრთელობას საფრთხეს უქმნის. საპროტესტო აქციების შედეგად, ა.წ. 26 თებერვალს გარემოს დაცვის სამინისტროს ეკოლოგიური ექსპერტიზისა და ინსპექტირების დეპარტამენტმა, მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების პოლიგონის მოწყობის მიზნით, 2010 წლის 24 მარტს თბილისის მერიაზე გაცემული ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნით დადგენილი პირობების შესრულების მდგომარეობა შეისწავლა და გამოავლინა ინფრასტრუქტურული და ტექნოლოგიური ციკლის მნიშვნელოვანი დარღვევები: არ იყო მოწყობილი გამწმენდი ნაგებობა, არ იყო გაკეთებული უჯრედები, სადაც უნდა იყოს განთავსებული ეს ნარჩენები. პირობითად, უნდა ყოფილიყო 14 ჰექტარზე, მაგრამ გაკეთდა 7 ჰექტარზე. ასევე იყო რადიაციული დეტექტორების დაყენების აუცილებლობა და პორტალური მონიტორებით უნდა ეკონტროლებინათ, არის თუ არა გამოსხივება მომატებული, უნდა ჩამოეყალიბებინათ ემისიების მონიტორინგის სისტემა, რომელიც ეხება გაზისა და მიწისქვეშა წყლების მონიტორინგს და იმ შემთხვევაში, თუ გადააჭარბებდა, უნდა განხორციელებულიყო სტაბილიზაციის ღონისძიებები. ამ დარღვევების გამო, პოლიგონის მმართველი კომპანია „თბილსერვის ჯგუფი“ ივლისში 5 ათასი ლარით დაჯარიმდა და მიეცა სამთვიანი ვადა ხარვეზების აღმოსაფხვრელად, წინააღმდეგ შემთხვევაში, კომპანია სამმაგი თანხით — 15 ათასი ლარით დაჯარიმდებოდა. შეიცვალა თუ არა ვითარება და რა პირობებში უწევს ცხოვრება დიდი ლილოს მოსახლეობას, ამის გასარკვევად „ვერსიამ“ ადგილზე ჩასვლა გადაწყვიტა.

პირველი, რაც თვალში გხვდება, ნაყოფიერი შავმიწა ნიადაგია, რომელიც აქაურების მთავარ საარსებო წყაროა. ადგილობრივები პრობლემაზე ემოციურად საუბრობენ, მაგრამ ფოტოგადაღებაზე უარს ამბობენ. მთავარ ქუჩაზე მაღაზიის გამყიდველი დალი ფხიკლეშვილი შემოგვჩივის, რომ 2010 წლის ბოლოს გახსნილი პოლიგონი დიდ ზიანს აყენებს მოსახლეობის ჯანმრთელობას: **„ჩამოდით, ერთი კვირა სცადეთ ჩვენთან ერთად ცხოვრება და ვნახოთ, როგორ გაუძლებთ. თითქმის ყოველდღე საშინელი სუნი დგას, წვიმის შემდეგ კი მდგომარეობა აუტანელი ხდება. მომატებულია გულისრევის, თავისტკივილის შემთხვევები. სახლში შევრბივართ და კარ-ფანჯარას ვკეტავთ. ქარი, ძირითადად, ჩრდილო-დასავლეთით, ანუ ჩვენს მხარეს უბერავს და ალბათ წარმოგიდგენიათ, რა დღეში ვართ. ეკოლოგიური დაბინძურების ზონაში გვიწევს ცხოვრება. ნებისმიერი გეტყვით, რომ ახალი დაავადებები გაჩნდა, მაგრამ ფაქტები კვლევებით დადასტურებული არ არის. ადრე, სოფლის დასაწყისში, რუსული სამხედრო ნაწილი იდგა და დასახლებაში რადიოაქტიური ფონი მომატებული იყო, მაშინაც სიმსივნეები გახშირდა. საპროტესტო აქციების შემდეგ, კვლევა ჩატარდა და ჯანმრთელობისთვის სახიფათო ფონი დადასტურდა. მერე ეს წყაროები დაილუქა და დაკონსერვდა. იმ უბედურებას 1992 წელს თავი დავაღწიეთ და ახლა ნაგავსაყრელი გაგვიხდა სატკივარი“.**

ნინო ავალიშვილი ამბობს, რომ პოლიგონის მშენებლობისას დაშვებული უხეში შეცდომები მიმდებარე ტერიტორიაზე ცხოვრებას შეუძლებელს ხდის, უმთავრესი პრობლემა კი ისაა, რომ ნაგავსაყრელი დასახლებული ადგილებიდან სათანადო მანძილით დაშორებული არ არის: **„ბოლო წელს დაბინძურების დონემ თანდათანობით იმატა, ღამითაც კი კარი ვერ გაგვიღია. ბოლო საპრეზიდენტო არჩევნებამდე საპროტესტო გამოსვლა მოვაწყვეთ, გაგვაჩუმეს, ახლა დაიშალეთ და პრობლემას მოგიგვარებთ, ნაგავსაყრელს სხვაგან გადავიტანთო. საარჩევნო პერიოდში დაყრილ ნაგავს რაღაცას აფარებდნენ. ერთადერთი, რასაც მივაღწიეთ, ნაგვის მანქანები სოფელში ვეღარ შემოდიან და პოლიგონისკენ ცენტრალური ტრასიდან გადაადგილდებიან, მაგრამ დაბინძურების წყარო, მძიმე სუნი დარჩა და ვერაფერი მოვუხერხეთ“.**

ნუგზარ ოქრუაშვილის თქმით, ნაგავსაყრელი აეროპორტთანაც სახიფათო სიახლოვეს მდებარეობს და თვითმფრინავებს საფრთხეს უქმნის. მაღაზიის გამყიდველი მიშა ბაგაშვილი კი ბავშვებში მომატებულ თავისტკივილსა და ღებინებაზე ჩივის: **„დიდებს რაღაც გვეშველება, ცოტა იმუნიტეტი გვაქვს. აი, ჩვენი ბავშვები კი ცოდოები არიან. პირღებინება, თავისტკივილი აღარავის უკვირს. გასაგებია, რომ ნაგავსაყრელის გადატანას დრო და ბევრი ფული სჭირდება, მაგრამ ხომ შეიძლება, ელემენტარული დაწესებული სტანდარტები დაიცვან, დაბინძურების წყარო, მძიმე სუნი მოაშორონ. მოსახლეობა ჯერ იქამდე აგრესიული არ არის, რომ იფეთქოს. ვეჭვობ, სანამ ვინმეს შვილი არ მოუკვდება, არავინ მოგვაკითხავს. აქ გამჩერებელი არავინაა, იქნებ ცოტა ჭკუით იყვნენ და მდგომარეობა აქამდე არ მიიყვანონ. მერე კი იტყვიან, სიგნალი არ გვქონდა და ჩვენ რა შუაში ვართო. ასე არ შეიძლება ბატონებო, აქაც ადამიანები ვცხოვრობთ და ჩვენი მომავალი თაობის ჯანმრთელობა გვაწუხებს. ჩათვალონ, რომ თქვენი გაზეთის საშუალებით ვუგზავნით საგანგაშო სიგნალს - მოდით, მოგვხედეთ, თორემ ცუდ დღეში ვიმყოფებით“.**

ნუკრი თიგიშვილი ნაგავსაყრელის მიმდებარედ დაბინძურებული წყლის დაგროვებაზე ამახვილებს ყურადღებას, რასაც წვიმებიც აქტიურად უწყობს ხელს. მისივე თქმით, მერე ეს მტკნარი წყლის არხში ხვდება, რომელიც თავის მხრივ თბილისის ზღვაში ჩაედინება: **„თბილისის**



**ზღვით დედაქალაქის ნაწილი მარაგდება, ამიტომაც პროცესი ჩვენ გარდა, ნახევარ ქალაქს საფრთხეს უქმნის. ვარკეთილში წყალმა ფერი შეიცვალა, ბავშვებს მუწუკებმა გამოაყარა, დასკვნა თქვენთვის მოგვინდვია. სამგორის მაჟორიტარმა დეპუტატმა დაგვაიმედა, ყურადღებას მოგაქცევთო და არჩევნების მერე აღარც გამოჩენილა. სამი წლის წინ, ნაგავსაყრელი ჩვენს მეზობლად იმიტომ გახსნეს, რომ მანძილის გამო, 2 მილიონი ლარი დაზოგეს, ახლა მოვიდნენ და მავნე შედეგები აღმოფხვრან, რა დავაშავეთ? ორი მილიონი ლარის ეკონომიას უნდა შეგვწირონ თუ რა ჩანაფიქრი აქვთ? მომატებულია სიმსივნეები, შეისწავლონ ბოლო ერთი წლის დაავადებათა სტატისტიკა და შედეგები. აქამდე ერთმანეთს აბრალებდნენ ბედოვლათობას, ახლა ხომ დამთავრდა ეს კოჰაბიტაცია, დროზე მოგვხედონ. რა ვქნათ, ახლა ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებს დაველოდოთ, რომ გვეშველოს? გამოსავალი პოლიგონის დასახლებიდან მოშორებით გადატანაა, აქ ნაგვის მიმღები და გადამამუშავებელი ქარხანა უნდა აშენებულიყო, რაც მხოლოდ სატყუარა აღმოჩნდა და მსგავსი არაფერი გაკეთებულა. სტიქიური ნაგავსაყრელის „გაკეთილშობილება“ კი, ალბათ, შეუძლებელია“.**

გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრი ხათუნა გოგალაძე რადიო „თავისუფლებასთან“ ინტერვიუში აცხადებს, რომ დიდი ლილოს პოლიგონზე ჩატარებული ექსპერტიზის შედეგად, კვლავაც დაფიქსირდა მთელი რიგი ხარვეზები, რის გამოც ექსპერტიზის შედეგები უახლოეს მომავალში გადაიგზავნება სასამართლოში, რომელიც გადაწყვეტს, დააკისროს თუ არა კომპანიას 15 ათასლარიანი ჯარიმა. რაც შეეხება მოსახლეობისა და გარემოსდამცველების მოთხოვნას პოლიგონის გადატანის შესახებ, მინისტრი განმარტავს, რომ ნაგავსაყრელის გადატანა საკმაოდ რთული პროცესია და თუკი სრულყოფილად იქნება დაცული ტექნოლოგიური ციკლის სტანდარტები, ეს მოთხოვნა თავისთავად მოიხსნება.

„ვერსიამ“ გარემოს დაცვის სამინისტროს, გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მთავარ სახელმწიფო ინსპექტორთან, ნელი კორკოტაძესთან დაკავშირებაც სცადა, რომელმაც პრესსამსახურთან შეთანხმება მოითხოვა. ინგა ნიკოგოსიანმა ზარს არ უპასუხა და შეტყობინება გამოგვიგზავნა, შეხვედრაზე ვარო. ნელი კორკოტაძის მედიასთან გაჟღერებული პოზიცია კი ასეთია — ინსპექციის სამსახური ახლა კომპლექტდება და მომავალში გამოიყოფა ჯგუფი, რომელიც ნაგავსაყრელზე არსებულ მდგომარეობას გაეცნობა.

დედაქალაქის კეთილმოწყობის სამსახურის ხელმძღვანელმა თორნიკე შიოლაშვილმა პრესსამსახურთან გადაგვამისამართა. მეილით (pr@tbilisi.gov.ge) გაგზავნილ კითხვაზე მერიის პასუხი კი ასეთია: **„აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, მოსახლეობასთან და სხვადასხვა უწყებებთან ერთად რამდენიმე შეხვედრა გაიმართა. შევთანხმდით, რომ კომპეტენტურ ექსპერტთა ჯგუფი პოლიგონზე არსებულ მდგომარეობას შეისწავლის და შესაბამისად, გადაწყვეტილება იქნება მიღებული“.**

თავის მხრივ, თბილისის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-თბილისელების“ თავმჯდომარე გულიკო ზუმბაძე ლილოელების მოთხოვნას ღიად მხარს უჭერს და აცხადებს: **„სამწუხაროდ, საკრებულოს ბოლო დროს ამ პრობლემაზე არ უმსჯელია და ჩემი ფრაქციის პოზიციას მოგახსენებთ. არჩევნებამდე მოსახლეობის საპროტესტო პიკეტირებაში ვმონაწილეობდი, გარემოს დაცვის სამინისტრო ჩაერია და საკუთარი დასკვნა დადო. მერიამ საქმე სასამართლოში წააგო, რადგან პოლიგონის მოსაწყობი ღონისძიებები ბოლომდე არ იყო მიყვანილი. ბიუჯეტში თანხა (12 მლნ) გამოიყო დარღვევების აღმოსაფხვრელად, მაგრამ ეს არ არის საკმარისი. ექსპერტებიც ადასტურებენ, რომ თავიდანვე დაშვებულია უხეში შეცდომები, არ არსებობს ორგანო, რომელიც ასეთ დასკვნებს გასცემდა. ბევრი ნიშანია, რომ ლილოს პოლიგონი დაიხუროს და ალტერნატიულ ტერიტორიაზე აშენდეს ნარჩენების მიმღებ-გადამამუშავებელი ქარხანა, რომელიც ეკოლოგიურ საფრთხეს გამორიცხავს“.**

ამ ფონზე, ადგილობრივი სამოქალაქო აქტივისტი თამრიკო ოქრუაშვილი აცხადებს, რომ დიდ ლილოსთან ერთად, წინუბანისა და ნასაგურის მოსახლეობა საპროტესტო ხელმოწერებს აგროვებს და ნაგავსაყრელის უპირობოდ დახურვას, სხვაგან გადატანას მოითხოვს. მისივე თქმით, მმართველობის ორგანოებისადმი მიმართვა შედეგს ისევ თუ არ გამოიღებს, მოსახლეობა სასამართლოს მიმართავს და ამ ბოლო ინსტანციაში შეეცდება საკუთარი სიმართლის გატანას. ა/ო „უფლებადამცველთა გაერთიანების“ თავმჯდომარე ნიკა მჟავანაძე ლილოს ნაგავსაყრელთან დაკავშირებულ რამდენიმე მწვავე პრობლემაზე ამახვილებს ყურადღებას: **„სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (იკაოს) ნორმების თანახმად, ღია ტიპის ნაგავსაყრელი აეროპორტიდან 13-14 კმ-ის დაშორებული უნდა იყოს, დიდი ლილოს პოლიგონი 7 კილომეტრშია, რის გამოც იკაომ შეიძლება თბილისის აეროპორტი დახუროს კიდევაც. ნაგავსაყრელზე მობინადრე გადამფრენ ფრინველებს ათასგვარი დაავადებაც გადააქვთ. თავის დროზე, ხალხს პირდებოდნენ, რომ ყველაფერი ევროპული სტანდარტებით გაკეთდებოდა, მოატყუეს. მოსახლეობა კონსტიტუციის 37-ე მუხლით გარანტირებულ, ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო გარემოში ცხოვრების უფლებას ითხოვს, რადგან ერთ დროს საკურორტო ზონაში (ტყე აკრავს) მოსახლეობას გაჩერება აღარ შეუძლია, უძრავი ქონების ფასიც დავარდნილია. ნაგავი იყრება ხევში, რომელიც თბილისის ზღვაში ჩაედინება, რაც ცალკე განხილვის თემაა. გარემოს დაცვის სამინისტრომ ამ საქმეს ვითომ ხელი მოკიდა, მაგრამ უწყება ინერტულია და ხელშესახები შედეგი არ დამდგარა. აუცილებელია ამ ნაგავსაყრელის კონსერვაცია და მოსახლეობისგან მოშორებით, ევროპული სტანდარტის პოლიგონის მოწყობა, რასაც თანხები სჭირდება. ზოგ ქვეყანაში, ნარჩენების მიმღები ქარხანა ქალაქის საზღვრებშიც კი არის განთავსებული, იმდენად უსაფრთხოა. პრობლემის საბოლოო გადაწყვეტა მერიის, სამინისტროს ჩინოვნიკებზე არ უნდა იყოს დამოკიდებული და დარგის პროფესიონალები უნდა ჩაერთონ“.**





# საშიშია თუ არა 600 000 000-ლარიანი შიდავალი ქვეყნის ეკონომიკისთვის?!



## რატომაა აუცილებელი ლარის კურსის რყევა, რას გადაეჩვია საქართველოს მოსახლეობა და რატომ არ მიიღებს ნაციონალური მოძრაობის კრიტიკას დავით ონოფრიშვილი

მაია მიშელაძე
593-51-90-12

**2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კორექტირებული ვარიანტის განხილვა პარლამენტში მიმდინარე კვირას დაიწყება. თავდაპირველ ვარიანტთან შედარებით, პრიორიტეტული სფეროების — ჯანდაცვის, სოფლის მეურნეობისა და განათლების დაფინანსება მცირდება. 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტი მთლიან შიდა პროდუქტთან (მშპ) მიმართებაში 3.9%-ია. დეფიციტის დასაფარად მთავრობა 1 600 000 000 ლარის ვალს იღებს, საიდანაც მილიარდი საგარეო ვალია. 600-მილიონიანი საშინაო ვალიდან სახელმწიფო 200 მილიონ ლარს კომერციულ ბანკებში განათავსებს, რადგან ბანკებმა გრძელვადიანი კრედიტები 1%-იანი სესხის ფარგლებში გასცენ, 400 000 000 ლარი კი სახელმწიფოს ბიუჯეტის გადასახდელების დასაფინანსებლად სჭირდება. ხელისუფლება არ აღიარებს, მაგრამ ამ რაოდენობის ვალის აღება ქვეყანაში ინვესტიციების სიმცირეს ნიშნავს, ბიუჯეტში არსებული დეფიციტის გამო მთავრობას სოციალური ხარჯის დაფინანსებაც გაუჭირდება. რა ხდება ქვეყნის ეკონომიკაში და რატომ იღებს მთავრობა ამ რაოდენობის საგარეო და საშინაო ვალს? რას ნიშნავს ლარის კურსის ცვლილება აშშ დოლართან მიმართებაში? „ვერსიას“ საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარე დავით ონოფრიშვილი ესაუბრება.**

**— ბატონო დავით, მთავრობამ პარლამენტში 2014 წლის კორექტირებული ბიუჯეტი უკვე შეიტანა, რომელშიც პრიორიტეტულ სფეროებად კვლავ ჯანდაცვა, სოფლის მეურნეობა და განათლება რჩება, მაგრამ კორექტირების შემდეგ პრიორიტეტული სფეროების დაფინანსება რატომ მცირდება?**

— ბიუჯეტი ცოცხალი ორგანიზმივითაა, ამიტომ მთავრობას საშუალება ჰქონდა, გარკვეული კორექტირება განეხორციელებინა. როდესაც სახელმწიფო ბიუჯეტი დამტკიცდება, ასე ადვილად ველარ გადახედავენ და ვერც გააკორექტირებენ. მთავრობამ დაინახა, რომ მაგალითად, საყოველთაო დაზღვევის პროგრამაში იმდენი არ დაიხარჯება, რაც ბიუჯეტის თავდაპირველ ვარიანტში იყო დაგეგმილი და ეს თანხა სხვა მიმართულებით დაიხარჯება.

**— განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის თავმჯდომარემ, ივანე კიღურაძემ უსაყვედურა კიდეც მთავრობას, რადგან სამეცნიერო გრანტების ნაწილში დაფინანსება შემცირდა.**

— ამას მაინც შესაბამისი სამინისტრო განსაზღვრავს. ზოგადად, ბიუჯეტში გამოყოფილი თანხა არასოდესაა საკმარისი. ამერიკის ბიუჯეტი ტრილიონი დოლარია, მაგრამ არასაკმარისი დაფინანსების გამო, ზოგჯერ სახელმწიფო სექტორები თვეობით წყვეტენ მუშაობას.

**— 2014 წლის ბიუჯეტში დეფიციტი მშპ-სთან მიმართებაში 3.9%-ია, რისთვისაც სახელმწიფო 600 000 000 ლარის შიდავალს იღებს. ოპონენტები გსაყვედურობენ, რომ ბოლო წლებში ქვეყანას ამ რაოდენობის შიდავალი არ აუღია...**

— ზოგადად, კრიტიკა ცუდი არ არის, მაგრამ ზოგჯერ, ისეთ საკითხზე გვაკრიტიკებენ, რაც მიუღებელია. თავად 9 წელი იყვნენ ხელისუფლებაში და შეეძლოთ, ეს საკითხები უკეთ გადაეჭრათ. შიდავალი კი არა, 600 000 000 ლარით სახაზინო ვალდებულებები იზრდება. შესაძლოა, სახაზინო ვალდებულებების აღება ჩვენი ქვეყნისთვისაა უცხო ხილი, თორემ არც ერთ ქვეყანაში ეს პრობლემა არ არის. გვეჩვენება, რომ 600 000 000 ლარი ბევრია, მაგრამ სინამდვილეში, ეს თანხა ქვეყნის ეკონომიკას ან ბიუჯეტს დისკომფორტს არ უქმნის... აგიხსნით, რატომ — სახელმწიფომ გადაწყვიტა, ეს 600 000 000 ლარი, რომელსაც ბიუჯეტის დეფიციტის გამო იღებს, მთლიანად ხარჯებში კი არ გამოიყენოს, არამედ 200 000 000 ლარი კომერციულ ბანკებში განათავსოს. თავის მხრივ, ბანკებს საშუალება ექნებათ, ამ თანხით გრძელვადიანი კრედიტები 1%-იანი საპროცენტო განაკვეთით გასცენ. მთლიანობაში, კარგი იდეაა, რადგან ეს თანხა ბანკებისთვის დამატებითი რესურსია, ბიუჯეტისთვის კი სარისკო ნამდვილად არ არის, რადგან 200 000 000 ლარი საბანკო დეპოზიტებზე განთავსდება, საბანკო სისტემა საკმაოდ ძლიერია. მთლიანობაში, ამ 600 000 000-ლარიან ვალში, განსაკუთრებულს ვერაფერს ვხედავ, თუმცა ბევრისთვის შესაძლოა, საკამათო იყოს — ასეთი რამ არასოდეს მომხდარა საქართველოში და იმიტომ, თორემ თუ გადახედავთ სხვა ქვეყნებს, სახაზინო ვალდებულებების გამოყენება ნორმალური პროცესია.

**— 2009 წელს, მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის დროს, ამერიკის წამყვანი ბანკები იმიტომ გაკოტრდნენ, რომ საბანკო აქტივების გარდა, სხვადასხვა სამშენებლო, დეველოპერულ თუ სარეკლამო კომპანიების აქტივებსაც ფლობდნენ, კრიზისი კი, დომინოს პრინციპით, ყველა სფეროს გადაედო. რატომ უნდა განათავსოს სახელმწიფომ შიდავალში აღებული თანხის ნაწილი კომერციულ ბანკებში, თუნდაც გრძელვადიანი კრედიტების დასაფინანსებლად, ასე ხომ ბანკები ამა თუ იმ ბიზნესის მფლობელ-პარტნიორები ხდებიან?**

— არა, საერთოდ არ იგულისხმება, რომ ესა თუ ის ბიზნესი ბანკმა უნდა განკარგოს. ბანკისთვის 200 000 000 ლარი დამატებითი რესურსია, რომელსაც საკრედიტო რესურსად გამოიყენებს, რათა გრძელვადიანი პროექტები დააფინანსოს. ისეთივე დამფინანსებელი იქნება, როგორც სოფლის მეურნეობის ფონდი, რომლის საშუალებითაც დაბალპროცენტიანი სესხები უკვე გაიცა. ვფიქრობ, ბევრი კოლეგა დაეთანხმება, რომ ბანკების ზედმეტი მონაწილეობა ბიზნესის სხვა სფეროებში, ქვეყნის ეკონომიკისთვის ცუდია, რადგან კონკურენტუნარიანი ბიზნესის განვითარებას ხელს უშლის. რაც მთავარია, ბანკების ხელმძღვანელებსაც ვესაუბრეთ და თვითონაც ამბობენ, რომ სურვილი არ აქვთ, სხვა სახის ბიზნესებს ფლობდნენ. ფაქტია, ჩვენ არ გავუწევთ სტიმულირებას, ბანკები საბანკო საქმიანობისა და საბანკო კანონმდებლობის გარეთ, სხვა ბიზნესებშიც ჩაერთონ, უმჯობესია, საბანკო საქმიანობით დაკავდნენ, ბიზნესს კი კომპანიები მიხედავენ.

**— თქვენი ოპონენტები ამბობენ, რომ საგარეო ვალს ნაციონალური მოძრაობის მთავრობაც იღებდა, მაგრამ ბოლო წლებში, შიდავალი მშპ-სთან მიმართებაში 29%-მდე შემცირდა, ახლა კი 35%-ია, ანუ გაიზარდა. ეს რისი ბრალია?**

— არასწორი ციფრებია... ბიუჯეტს ახლავს ცხრილები და ნახავთ, რომ მთავრობის საერთო, საშინაო ვალი მშპ-სთან მიმართებაში, 35% კი არა 35%-ის ფარგლებშია, რამდენიმე წლის წინ კი 40% და 44%-ც იყო, ამიტომ 35%-ის ფარგლებში შიდავალი აბსოლუტურად მისაღებია. არც ერთი ეს მაჩვენებელი პრობლემური არ არის, მით უმეტეს, ნაციონალური მოძრაობის წევრებისგან ჩვენი კრიტიკა გასაოცარია, რადგან როდესაც ხელისუფლებაში იყვნენ, ეს ციფრი ბევრად მეტი იყო. მაშინ მართლაც არსებობდა საფრთხე, რომ ვალი უფრო გაზრდილიყო.

ვალთან მიმართებაში, არავითარი პრობლემა არ არსებობს, ყველა ქვეყანა იღებს საშინაო და საგარეო ვალს, მთავარია, ორივე ერთად 40%-ს არ სცილდებოდეს, ჩვენთან კი 35%-ის ფარგლებშია. საგარეო და შიდავალი ბიუჯეტის დეფიციტის დასაფარად ავიღეთ. ესაა, ზოგადად, ბიუჯეტში ჩადებული თანხა, რაც მაგალითად, განათლებას, მეცნიერებას, სოციალურ და კაპიტალურ ხარჯებს მოხმარდება. ვალი რომ არ აგვეღო, რეალურად, სოციალური ხარჯები უნდა შეგვემცირებინა.

**— ბატონო დავით, ათიოდე დღის წინ ლარის კურსი ოდნავ შესუსტდა აშშ დოლართან მიმართებაში, შემდეგ გამყარდა. ექსპერტები ამბობენ, რომ ეს ხელოვნური პროცესი იყო, საშიში არ არის ეროვნული ვალუტის კურსის ცვლილება?**

— მგონია, რომ ეს პროცესი ხელოვნური არ ყოფილა. საერთოდ, ბოლო წლებში, ეროვნული ბანკის პოლიტიკა ზედმეტად მკაცრი იყო, ქვეყნის მთავარ ბანკს ყოველთვის აქვს სხვადასხვა მექანიზმი, რათა ლარის კურსი დაარეგულიროს. ვფიქრობ, ეს ზეგავლენა იმდენად ზედმეტი იყო, რომ ჩვენი მოსახლეობა ეროვნული ვალუტის კურსის ცვალებადობას საერთოდ გადაეჩვია. ახლა, მცირე რყევაზეც კი საკმაოდ არაჯანმრთელი რეაქცია აქვს, ხალხი შეშფოთებულია — ვაიმე, რამე ხომ არ ხდებაო? ისე, მოსახლეობას ამგვარი შეშფოთების სრული საფუძველი აქვს, რადგან წლების წინ ყველას კარგად გვახსოვს, როგორ დაეცა ლარის კურსი მოულოდნელად, პარასკევს საღამოს, ორ-სამ დღეში კი ისევ გამყარდა. თუ ყურადღებით დააკვირდებით, ნახავთ, რომ მსოფლიოს ყველა ქვეყნის ეროვნული ვალუტის კურსი ევროსთან ან აშშ დოლართან მიმართებაში, ცვალებადი და მერყევია, რაც იმაზეა დამოკიდებული, რამდენად ჯანსაღი ეკონომიკაა იმ ქვეყანაში. თუ მსოფლიოში პრობლემებია, მაგალითად, ნავთობის ფასი მატულობს ან სადღაც ომი და კრიზისია, რყევა გაცილებით მაღალია. საქართველოში კი მოსახლეობაც და ბიზნესიც გადაეჩვია, რომ ლარის კურსის გამყარების ან ოდნავ შესუსტების ტენდენცია არსებობდეს, რაც საგანგაშო არ არის. შესაძლოა, კურსის რყევა, ნაწილობრივ სეზონის ბრალიც იყოს. ჩვენნაირ ქვეყანაში არ შეიძლება, ეროვნული ვალუტის კურსი მუდმივად 1.67-ზე ყოფილიყო აშშ დოლართან მიმართებაში. წლების განმავლობაში, მუდმივად ერთი და იგივე კურსი უფრო არასწორი იყო, ვიდრე ის, რაც ახლა ხდება. პანიკის საფუძველი არ გვაქვს, ჩვენი ეკონომიკა ცოცხალი ორგანიზმია და ჯანმრთელი პროცესი მიმდინარეობს. მიმაჩნია, რომ ეროვნულმა ბანკმა ლარის გაცვლით კურსთან მიმართებაში, სწორი პოლიტიკის გატარება სწორედ ახლა დაიწყო.

## ვერსიანიუსი

### ბიზნესმენი ვახო ფაილოძე საკუთარ ავტომობილში გარდაცვლილი იპოვეს



თბილისში ორი დღის წინ დაკარგული ბიზნესმენი ვახო ფაილოძე გარდაცვლილი იპოვეს, როგორ „პირველ რადიოს“ შს სამინისტროში განუცხადეს, 46 წლის ბიზნესმენი საკუთარ ავტომობილში წუხელ, გვიან ღამით იპოვეს. მას თავის არეში ერთი ჭრილობა აქვს მიყენებული. შს სამინისტროს ინფორმაციით, მომხდარზე საქმე 155-ე, თვითმკვლელობამდე მიყვანის მუხლით აღიძრა. შეგახსენებთ, რომ 46 წლის ბიზნესმენი ვახო ფაილოძე სახლიდან 6 დეკემბერს, გვიან ღამით მეგობრის მოსანახულებლად გავიდა. მეგობართან შეხვედრის შემდეგ, როდესაც სახლისკენ ბრუნდებოდა, მან მეუღლეს დაურეკა და უთხრა, რომ ვაკე – საბურთალოს ახალ გზაზე იმყოფებოდა და სახლში მიდიოდა, ამის შემდეგ კი არც ტელეფონზე დაკონტაქტებია ვინმეს და არც სახლში დაბრუნებულა.

*„პირველი რადიო“*

### შსს-მ პატრულის დაჭრის ფაქტზე ერთი პირი დააკავა



შსს-ს გლდანი-ნაძალადევის სამმართველოს მე-9 განყოფილების, ამავე სამმართველოს დეტექტივების განყოფილების და კახეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას პოლიციელის ჯანმრთელობის ხელყოფის ფაქტზე 1995 წელს დაბადებული ირაკლი ბ. დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებულმა 2 დეკემბერს მეტროსადგურ ნაძალადევის ქვედა ვესტიბიულში პატრულ-ინსპექტორი, რომელიც სამსახურებრივ მოვალეობას ასრულებდა, ცივი იარაღით ფეხის არეში დაჭრა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. სამართალდამცველებმა ირაკლი ბ. თელავის რაიონის სოფელ წინანდალში, დანაშაულის ჩადენიდან რამდენიმე დღეში დააკავეს. დაკავებული აღიარებს ჩადენილ დანაშაულს. გამოძიება სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას პოლიციელის ჯანმრთელობის ხელყოფის ფაქტზე მიმდინარეობს (სსსკ-ს 353-ე პრიმა მუხლის მე-2 ნაწილით).

*„ვერსიანიუსი“*

# გიორგი თავდგირიძე: „ხუდონჰესზე ლოზუნგებით კი არა, ფაქტებით უნდა ვილაპარაკოთ“

**„ყველა მნიშვნელოვანი პროექტი შეიცავს საფრთხეს. ხუდონჰესის შემთხვევაშიც, რაკი საქართველო მნიშვნელოვანი მოთამაშე ხდება ენერგეტიკის სფეროში, რაც საქართველოს როლისა და მნიშვნელობის ზრდას იწვევს, თუნდაც რეგიონის მასშტაბით, საფრთხე იმისა, რომ პროექტი სხვადასხვა მეთოდებით, მათ შორის ძალისმიერით დამუხრუჭდეს, არსებობს. თუმცა ერთია თეორიული საფრთხე და მეორე, ექსპერტის, ანალიტიკოსის ან კომპეტენტური ორგანიზაციის დასკვნა ვითარების შეფასების შემდეგ, რა კონკრეტულ სირთულეებს ხედავს. ამ შემთხვევაში, ბატონ დავით თევზაძეს არ ვეთანხმები არც ვითარების შეფასებაში და არც დასკვნაში“,** — ასეთ კომენტარს აკეთებს სამხედრო ექსპერტი გიორგი თავდგირიძე, თავდაცვის ყოფილი მინისტრის, დავით თევზაძის განცხადებაზე.

თევზაძის განცხადებით: **„ხუდონჰესის მშენებლობა, შესაძლოა, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის შემდგომი რღვევის მაპროვოცირებელი ფაქტორი აღმოჩნდეს... მრავალი ფაქტორი ერთად იყრის თავს. ეს არის გარკვეული მოტივაციები და შესაძლებლობები, რომლებიც რუსეთს გააჩნია — გეოპოლიტიკური ვითარება, რომელშიც აღმოვჩნდით და უსაფრთხოების გარემოს ცვლილება 2008 წლის ომის შემდეგ“...**

რამდენად რეალურია დავით თევზაძის განცხადება ან რა საფრთხე არსებობს ხუდონჰესის პროექტთან დაკავშირებით? ამ კითხვებით სამხედრო ექსპერტს, **გიორგი თავდგირიძეს** მივმართეთ.

**— ბატონო გიორგი, რა არგუმენტებს ემყარება დავით თევზაძის განცხადება?**

— ბატონ დავითს არგუმენტები სამ კატეგორიაში აქვს გაერთიანებული: მოტივაცია, რუსეთის შესაძლებლობები და გეოსტრატეგიული ვითარება. მოტივაციის ნაწილში, ალექსანდრე დუგინს ეყრდნობა, რომელიც საუბრობს რუსეთის როლსა და ინტერესებზე კავკასიაში. თავისთავად, დუგინის მოსაზრებები აგრესიულია და რუსეთის აგრესიული პოლიტიკის იდეოლოგიზაციის მცდელობაა, მაგრამ ის ზოგადად ეხება რუსეთ-საქართველოს ურთიერთობას, იმისგან დამოუკიდებლად, აშენდება ხუდონი თუ არა. ასევე ვადასტურებ, რომ რუსეთის მხრიდან, ოფიციალური პოზიცია კონკრეტულად ხუდონის მიმართ არ დაფიქსირებულა, შესაბამისად, რუსეთს გააჩნია თუ არა რაიმე საწინააღმდეგო ხუდონის მიმართ, არ ვიცით. რაკი არ ვიცით პოზიცია, შესაძლოა, ჩვენი ვარაუდი მხოლოდ მარჩიელობა იყოს და მასზე დაყრდნობით რუსეთის ქმედების მოდელირება შეუძლებელია. გავითვალისწინოთ, რომ პროექტი უკვე განხორციელების ფაზაშია და რუსეთის მხრიდან პოზიციის გამოხატვა დაგვიანებულიცაა.

**— ეს განცხადება კონფერენციაზე გაკეთდა, რომელსაც საელჩოების, პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები და ექსპერტები ესწრებოდნენ. თავდაცვის ყოფილი მინისტრისგან ეს სწორი ნაბიჯი იყო?**

— შესაძლებლობებზე საუბრისას, დავით თევზაძისა და მისი თანამომხსენებლების მხრიდან, საუბარი იყო სამხრეთ ფლანგზე რუსეთის სამხედრო პოტენციალზე. თუმცა სამხრეთ ფლანგის კონფიგურაცია, დღეს არ დაწყებულა და ის სულ სხვა გამოწვევებზეა მორგებული. არც ერთი ინდიკატორი იმისა, რომ ხუდონის პროექტის გამო, თუნდაც ერთმა ასეულმა შეიცვალა ან შეიცვლის დისლოკაციის ადგილს, არ არსებობს, ამიტომ ეს არის პოტენციური საფრთხე, რომელიც ზოგადად, „დამოკლეს მახვილივით“ ჰკიდია ქართულ სახელმწიფოს თავზე. მიუხედავად ამ საფრთხისა, უნდა განვვითარდეთ და გავძლიერდეთ. ჩვენი ეკონომიკური შესაძლებლობების ზრდა, ზუსტად ამ საფრთხის შემცირების საშუალებაა.

**— დავით თევზაძე სხვადასხვა ფაქტორებზეც ამახვილებს ყურადღებას, მათ შორის, იმ გეოპოლიტიკურ ვითარებაზე, რომელშიც საქართველო 2008 წლის ომის შემდეგ აღმოჩნდა. რა კავშირშია ეს ხუდონჰესის პროექტთან?**

— რაც შეეხება გეოპოლიტიკურ ვითარებას, ხუდონი ეკონომიკური პროექტია და სამხედრო თვალსაზრისით, მისი განხორციელება რომელიმე მოთამაშის სასარგებლოდ, ბალანსის ცვლილებას არ იწვევს, ამიტომ ცოტა ძნელი წარმოსადგენია, როგორ უნდა გაამართლოს რუსეთმა თავის ღია სამხედრო ქმედება ამ შემთხვევაში. 2008 წლის აგვისტოს შემდეგ, რუსეთმა მოახერხა და სამხრეთ კავკასიაში, თავისი მიზნების შესაძლო მაქსიმუმს მიაღწია, მაგრამ მხოლოდ საქართველოს ხელისუფლების უპასუხისმგებლო მოქმედების შედეგად. რუსეთის ნებისმიერი, ახალი სამხედრო მოქმედება საქართველოს წინააღმდეგ, ეჭვქვეშ დააყენებს ამ მიღწევას. ამიტომ, ვიდრე რუსეთის შეიარაღებულ ძალებში არ დასრულდება (თანაც, წარმატებით) სრულმასშტაბიანი რეფორმა, საეჭვოა, მნიშვნელოვანი გამოწვევის ან მოტივაციის გარეშე, რუსული არმია ფართომასშტაბიან მოქმედებაში გამოიყენონ.


*გიორგი თავდგირიძე*

**— თუკი სვანეთის ტერიტორიიდან მოსახლეობის დიდი ნაკადი ერთბაშად გავა, შეიძლება თუ არა ჩრდილოეთის საზღვართან დაკავშირებით, რაიმე სახის პრობლემები შეგვექმნას?**

— ჩემი შეფასებით, ხუდონი რუსეთის ფართომასშტაბიანი სამხედრო აგრესიის მაპროვოცირებლად ვერ იქცევა, არც ბატონ დავით თევზაძეს მოუყვანია ამის დამადასტურებელი ინდიკატორები და თუ არ ვცდები, არც ჰქონია ასეთი მიზანი. უბრალოდ, მან და მისმა კოლეგებმა აღწერეს რუსეთის შესაძლებლობები სამხრეთ ფლანგზე და ზოგადად, ყურადღება პოტენციურ (თეორიულ) საფრთხეზე გაამახვილეს. ხუდონის მომხრეებსა და მოწინააღმდეგეებს შორის მიმდინარე კამათში, უსაფრთხოების თემების წინ წამოწევა გასაგებია, მაგრამ უმჯობესია, ლოზუნგებითა და სადღეგრძელოებით დავა, საქმიან დისკუსიაში გადავიდეს, დიალოგი კი ფაქტებით შედგეს. ის, რომ რეგიონში დემოგრაფიული პრობლემებია, სიდუხჭირეა, არსებობს ინფორმაცია, რომ რუსეთის ხელშეწყობით, კონტრაბანდული ურთიერთობებია აფხაზებსა და უსინდისო ბიზნესმენებს შორის (ასეთი ბიზნესმენის განხორციელებული კომერციული აქტიურობა ხელს უწყობს სეპარატისტულ და ბანდფორმირებების შესაძლებლობის გაზრდას), უკონტროლოა (შესაბამისად, საფრთხისშემცველია) გამყოფი ხაზები და ბევრი სხვა პრობლემა, ეს ყველაფერი კომპლექსურ მიდგომას მოითხოვს. ეს პრობლემები უსწრაფესად უნდა მოგვარდეს, რადგან ვიდრე მომავლის საფრთხეებზე საამო საუბრით თავს ვიქცევთ, უკვე არსებული, ჩვენს ქვეყანას ასუსტებს და განვითარების საშუალებას არ აძლევს.

განათლება

მერაბ ბერიძე
599-45-50-26

# 2008 წლის შემდეგ პირველად, საინგილოში სკოლებს ქართული სახელმძღვანელოები გადაეცა

**საინგილოში, ისტორიულ ჰერეთში, კახის, ზაქათალასა და ბელაქნის რაიონებში, ქართველებით კომპაქტურად დასახლებული სოფლების — ითითალას, ალიაბადისა და კახინგილოს ქართული სკოლების მოსწავლეებს ქართული სასკოლო სახელმძღვანელოები და დამხმარე სასწავლო მასალები გადაეცათ. ღონისძიების ფარგლებში გაიმართა შეხვედრები ადგილობრივ ქართველ მოსახლეობასთან. სამწუხაროა, რომ წიგნები მხოლოდ სამ სკოლას გადაეცა და დანარჩენი სოფლები კვლავ ყურადღების მიღმა რჩება.**



მეცნიერებისა და განათლების სამინისტროს ინფორმაციით, აზერბაიჯანის რესპუბლიკის კახის, ზაქათალისა და ბელაქნის რაიონებში ქართულენოვანი სულ 7 სკოლაა, აზერბაიჯანულენოვან 4 სკოლაში კი ქართული სექტორი ფუნქციონირებს. განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ ყველა ამ სკოლის მოსწავლისთვის ქართული ენისა და მათემატიკის ის სახელმძღვანელოები შეიძინა, რომლითაც მათი თანატოლები საქართველოში სწავლობენ. სამინისტროს ინფორმაციითვე, აღნიშნულ სკოლებს 2008 წლამდე, სახელმძღვანელოებითა და პროგრამებით საქართველოს განათლების უწყება ამარაგებდა, შემდეგ კი წიგნებით მათი უზრუნველყოფა შეწყდა. მათივე ცნობით, რეგიონის ქართულენოვანი სკოლების მოსწავლეების მშობლების მხოლოდ მცირე ნაწილი ახერხებდა საქართველოში სახელმძღვანელოების ცალობით შეძენას, რამაც საგრძნობლად შეამცირა ამ რაიონებიდან საქართველოში ერთიან ეროვნულ გამოცდებზე დარეგისტრირებული აბიტურიენტების რაოდენობა და გამოცდებზე მიღწეული შედეგებიც.

ხანგრძლივი შუალედის შემდეგ, მხოლოდ 2013 წლიდან გახდა შესაძლებელი საქართველოს განათლების სამინისტროს პროგრამის ფარგლებში, მშობლიური ენის შესწავლის ხელშეწყობისა და ისტორიულ სამშობლოსთან კავშირების შენარჩუნებას მიზნით, აზერბაიჯანის ტერიტორიაზე მცხოვრები ქართველი მოსწავლეებისათვის სახელმძღვანელოების ჩატანა. პროგრამაში აქტიურადაა ჩართული დიასპორის საკითხებში საქართველოს მინისტრის სახელმწიფო აპარატი, რომელიც სამინისტროს ეხმარება ბენეფიციარებთან ურთიერთობაში, მონაწილეობს მონიტორინგისა და შეფასების პროცესში, აზერბაიჯანის რესპუბლიკაში ვიზიტის საორგანიზაციო საკითხებში. დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის, კონსტანტინე სურგულაძის ინფორმაციით, უცხოეთში მცხოვრები თანამემამულეების, დიასპორული ორგანიზაციების, ქართული საკვირაო სკოლებისა და შემოქმედებითი კოლექტივების მხარდასაჭერად, მთავრობის სარეზერვო ფონდიდან 400 000 ლარი დაიხარჯა. საინგილოს სკოლებისთვის ქართული სახელმძღვანელოების ჩატანაში საკუთარი წვლილი შეიტანა ჰერეთის კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოება „ქურმუხელმა“. თავის დროზე, ორგანიზაციის წარმომადგენლები ჯერ კიდევ განათლების მინისტრ გიორგი მარგველაშვილს შეხვდნენ და ამ საშვილიშვილო საქმეში თანადგომა სთხოვეს: **„ერთი სასიხარულო ამბავი უნდა გაცნობოთ, რომელიც ყოველ თქვენგანს აუცილებლად გაახარებს. დაახლოებით ორი წელიწადია, საზოგადოება „ქურმუხელი“ ცდილობდა, ჰერეთის სკოლებში წიგნებით უზრუნველყოფის საკითხი მოეგვარებინა, საინტერესო შეხვედრებმა და მოლაპარაკებამ, როგორც იქნა, შედეგი გამოიღო. საგულისხმოა ჩვენი შეხვედრა (06.12.2012 წ) განათლებისა და მეცნიერების მინისტრთან, ამჟამად პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილთან. საუბრის მთავარი თემა იყო აზერბაიჯანში ქართველებით კომპაქტურად დასახლებულ კახის, ზაქათალისა და ბელაქნის რაიონებში მოქმედ ქართულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში არსებული პრობლემები და გამოწვეული შედეგები. შეხვედრას სამივე რაიონის რეგიონული წარმომადგენლები ესწრებოდნენ. შედგა შეთანხმება, რომლის საფუძველზეც საზოგადოება „ქურმუხელი“ აქტიურად ითანამშრომლებს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან, არსებული პრობლემების სამთავრობო დონეზე მოგვარების მიზნით. ასევე დიდ მადლობას მოვახსენებთ დიასპორის სამინისტროს, რომელმაც ეს ინიციატივა დააგვირგვინა და დაგვეხმარა, აზერბაიჯანში მცხოვრები ქართველებისთვის სასკოლო წიგნები მიგვეწოდებინა. ჰერებს ვულოცავთ ამ სასიხარულო ამბავს და ვუსურვებთ, წარმატებული თაობები გაეზარდოთ“.**

ქართული მედიის ინფორმაციით, აზერბაიჯანელმა სამართალდამცველებმა საქართველოდან საინგილოში ქართულენოვანი სასკოლო სახელმძღვანელოების შეტანის ბრალდებით, თბილისი-ზაქათალა-კახის მიკროავტობუსის მძღოლი დააკავეს. იგი საბაჟო წესების დარღვევაში დაადანაშაულეს, ხოლო თანხის გადახდის შემდეგ იმავე დღეს გაათავისუფლეს. იმ პერიოდში გავრცელებული ინფორმაციით, **„ერთ-ერთი რეისის შესრულების დროს მგზავრებმა თბილისიდან ქართულენოვანი სასკოლო წიგნები წამოიღეს. მძღოლმა ამის შესახებ იცოდა, თუმცა, როცა საბაჟოზე ჰკითხეს, ხომ არ შეჰქონდა აკრძალული საქონელი, აზერბაიჯანელი მებაჟეებისთვის არაფერი უთქვამს. ეს წიგნები აზერბაიჯანელმა სამართალდამცველებმა საინგილოს ქართული სექტორის სკოლებიდან რამდენიმე დღის წინ ამოიღეს. სწორედ ამის შემდეგ დაიწყო გამოძიება გასარკვევად, როგორ მოხვდა აღნიშნული წიგნები კახისა და ზაქათალის რაიონებში“.**

აზერბაიჯანელმა სამართალდამცველებმა საინგილოს ქართული სექტორის სკოლებში ჩხრეკა საქართველო-აზერბაიჯანის საზღვარზე მომხდარი ინციდენტის შემდეგ ჩაატარეს და შედეგად, უშიშროების თანამშრომლებმა 200-ზე მეტი ქართული სახელმძღვანელო ამოიღეს. მანამდე, ზაქათალის რაიონის სოფელ ალიაბადის პირველი საშუალო სკოლის ქართული სექტორის დაწყებითი კლასების მასწავლებელს, ელინათა საფაროვას საქართველო-აზერბაიჯანის საზღვარზე, ლაგოდეხთან აზერბაიჯანელმა მესაზღვრეებმა ქართული სახელმძღვანელოები ჩამოართვეს. როგორც მაშინ საფაროვამ განაცხადა, აზერბაიჯანელმა მესაზღვრეებმა მას მეორე კლასის ქართული სახელმძღვანელოები, მათემატიკის სახელმძღვანელოს 54 ეგზემპლარი და ქართული სამუშაო რვეულები წაართვეს.

საინგილოში ქართული სახელმძღვანელოების ჩატანა უმნიშვნელოვანესი ნაბიჯია, რამაც ჰერებს ისტორიული სამშობლოს მიმართ რწმენა უნდა დაუბრუნოს და გაუძლიეროს. ალბათ სიმბოლურია, რომ ძირძველ ქართულ კუთხეში წიგნების ჩატანა 2008 წელს აკრძალეს, ცოტა არ იყოს, ამოუცნობია მეზობელი და მეგობარი სახელმწიფოს დამოკიდებულება. ამავე დროს, ქვეყანა ლიტონი განცხადებების იმედად არ უნდა დარჩეს და საინგილოში იმავე პირობების შექმნა მოითხოვოს, რაც ქვემო ქართლში ეთნიკურ აზერბაიჯანელებს აქვთ. ტაო-კლარჯეთსა და ფერეიდანში იგეგმება ქართული სკოლების გახსნა და აქვე, საზღვრისპირას მცხოვრებ ჰერებს, მშობლიური ენის კბილებით შენარჩუნება არ უნდა უწევდეთ. იმედია, უახლოეს მომავალში, მონატრებულ ქართულ სახელმძღვანელოებს საინგილოს დანარჩენი სოფლებიც (კახისთავი, ალიბეგლო, მოსული, ალათემური, ქოთოქლო...) მიიღებენ.

# იმ ქვეყნების სია, რომლებიც გმო-ზე უარს ამბობენ!



## როდის შეუერთდება მსოფლიოს 40-მდე სახელმწიფოს საქართველო

ნინო ლურსმანაშვილი, 593-51-52-04

**„ბულგარეთი — გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზმებისგან თავისუფალი ზონა“, — ეს სარეკლამო განცხადება უცხოენოვან ერთ-ერთ ტურისტულ საიტზე ყველაზე თვალშისაცემი იყო. მსგავს განცხადებებს, სხვა ქვეყნების შესახებ, სხვა ტურისტულ საიტებზეც უხვად წავაწყდით... ჩანს, ამა თუ იმ ქვეყანაში გმო-სთან დამოკიდებულება თანამედროვე ტურისტებისთვის საკმაოდ მნიშვნელოვანი და ხშირად, გადამწყვეტი ინფორმაციაა. რატომ იღებენ გმო-ს შესახებ კანონებს? — უკვე არსებობს არაერთი კვლევის დასკვნა, რომ გმო ადამიანის ჯანმრთელობას საფრთხეს უქმნის, ალერგიას, კიბოს და ბევრ ისეთ დაავადებას იწვევს, რომელიც მეცნიერებმა „ახალ ავადმყოფობად“ მონათლეს. სხვა თუ არაფერი, უკვე ლაბორატორიულადაა დადასტურებული, რომ სწორედ გმ ორგანიზმებია „საუკუნის წყევლად“ წოდებული, მარგელონის სინდრომის მიზეზი, რაზეც „ვერსია“ უკვე წერდა. დადგინდა ისიც, რომ მარგელონი სწორედ იმ პერიოდიდან ვრცელდება, რაც გმ პროდუქტის წარმოება გახშირდა და ამ დაავადების დადასტურებულ შემთხვევათა უმრავლესობა სწორედ იმ ქვეყნებზე მოდის, სადაც გმ კულტურებს აწარმოებენ.**
**პარალელურად, გმ კულტურები საფრთხეს უქმნის ენდემურ ჯიშებს — დამტვერვის შედეგად მათი გადაგვარება ხდება, ნიადაგზე კი, რომელზეც გმ კულტურა იყო დათესილი, ბიოპროდუქტის მოყვანა შეუძლებელია... ეს ფაქტები ბევრი სახელმწიფოს ხელისუფლებისთვის გახდა საფუძველი, გმ კულტურების მოყვანაზე, გმ პროდუქტის წარმოებაზე, გმო-ს იმპორტზე გარკვეული შეზღუდვები დაეწესებინა; მეტიც — საკმაოდ სწრაფად იზრდება იმ ქვეყნების რიცხვი, რომლებიც გმო-ს წარმოება-მიღებაზე უარს აცხადებს!**

ზოგადად, გმო-ს აკრძალვა ქვეყანაში დიდ სირთულეებთანაა დაკავშირებული, სხვა თუ არაფერი, იმპორტს უქმნის პრობლემას. არადა, მსოფლიოს უმსხვილეს იმპორტიორთა უმეტესობა სწორედ გმო-ს იყენებს. ამ ფონზე, მაგალითად ევროპის ქვეყნების უმრავლესობამ, სურვილის მიუხედავად, გმო-ს ამკრძალავი კანონის მიღება ვერ მოახერხა, სამაგიეროდ, კანონით დაარეგულირა ქვეყანაში გმ თესლის, ნერგების... შეტანა. მარკირების წესის გამკაცრებით კი, ბაზარზე გმ პროდუქტის ამოცნობა გახადა შესაძლებელი. გამოიძებნა კიდევ ერთი მეთოდი — ზოგ ქვეყანაში გარკვეული ტერიტორიები გამოცხადდა „გმო-სგან თავისუფალ ზონად“, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ ტერიტორიებზე აიკრძალა გმ კულტურების მოყვანა, გმ პროდუქტის მოხმარება სახელმწიფო დაწესებულებებში (სკოლა, საავადმყოფო, სამხედრო ნაწილი...), შეიზღუდა გმო-ს გამოყენება ფერმებში, მსხვილ სავაჭრო ქსელებში... დაწესდა ამ ნრომების დაცვისთვის მკაცრი კონტროლი...

თითოეული ზონა სპეციფიკურია — გმო-სგან თავისუფალი ზონა შეიძლება იყოს ფერმა, მეურნეობა, სასწავლო დაწესებულება, ორგანიზაცია, სავაჭრო ქსელი, სოფელი, ქალაქი, რაიონი, რეგიონი ან ქვეყანა.

მხოლოდ ევროკავშირის ტერიტორიაზე, 35 ქვეყანაში შექმნილია გმო-სგან თავისუფალი 175 ზონა და გმო-ს მოყვანა-გავრცელებაზე მკაცრი კონტროლია დაწესებული. 4 500-ზე მეტი მუნიციპალიტეტი და 1000-ზე მეტი ფერმერული მეურნეობა ოფიციალურად აცხადებს, რომ არ აქვთ სურვილი, გამოიყენონ გმ კულტურები.

თუ შესაბამისი კანონი ჩვენი ქვეყნის საკანონმდებლო ორგანომაც მიიღო, საქართველოც გმო-სგან თავისუფალ ზონად გამოცხადდება, სადაც გმ თესლის, ნერგების... შემოტანა აიკრძალება.

პარალელურად, გმ პროდუქტის მარკირება უნდა მოხდეს, რათა მომხმარებელმა იცოდეს, როგორ პროდუქტს ყიდულობს. პარლამენტის გარემოს დაცვის კომიტეტის თავმჯდომარის, გია ცაგარეიშვილის ინფორმაციით, კანონპროექტი „გენმოდიფიცირებული ცოცხალი ორგანიზმების შესახებ“ წლის ბოლომდე უნდა შევიდეს პარლამენტში. როგორც კი დეპუტატები კანონს მიიღებენ, საქართველო ხსენებული ქვეყნის ჩამონათვალს დაემატება.

გმო-სგან სრულად თავისუფალი მსოფლიოში მხოლოდ 5 ქვეყანაა: ავსტრია, ვენესუელა, საბერძნეთი, პოლონეთი და შვეიცარია. სტატისტიკა აჩვენებს, რომ ამ ქვეყნებში კიბოს მაჩვენებელიც დაბალია და მოქალაქეები ღრმა მოხუცებულობამდეც ცოცხლობენ.

„გმო-სგან თავისუფალი ზონები“ კი მსოფლიოს შემდეგ ქვეყნებშია:

**ავსტრალია** — ვიქტორიას შტატი და ახალი სამხრეთ უელსის 5 შტატი;

**ბელგია** — 112 პროვინცია;

**ბულგარეთი** — 2005 წელს სწორედ აქ, ქალაქ საროვჩაში შეიქმნა გმო-სგან თავისუფალი პირველი ზონა;

**დიდი ბრიტანეთი** — 69 თავისუფალი ზონა ინგლისში და 35 — უელსში;

**უნგრეთი** — 2 რეგიონი და ათობით მუნიციპალიტეტი;

**გერმანია** — 713 გმო-სგან თავისუფალი ზონა, ჯამში 600 ათასი ჰექტარი მიწა;

**ინდოეთი** — ერთადერთი სოფელი ვარანგალას რაიონში; ქვეყნის მასშტაბით კი, 2010 წელს, აიკრძალა „მონსანტოს“ გმ ბადრიჯნისა და სიმინდის გაყიდვა. ამის მიზეზი ის გახლდათ, რომ „მონსანტოს“ მიერ შეთავაზებული თესლი 12 000-ზე მეტმა ფერმერმა საკმაოდ ძვირად შეიძინა. გმ კულტურის მოვლა, გაცილებით ძვირიც დაუჯდათ. ფერმერების უმრავლესობას ვალი ჰქონდა, მოსავალი კი საერთოდ ვერ მიიღეს — თითქმის ყველამ სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა;

**ირლანდია** — 8 საგრაფო და 9 ქალაქი;

**ესპანეთი** — ბასკების ქვეყანამ გმო-ზე ჯერ 5-წლიანი მორატორიუმი გამოაცხადა, შემდეგ კი ვადა 2014 წლამდე გაზარდა. გმო-სგან თავისუფალ ზონად აქ 30 მუნიციპალიტეტია აღიარებული;

**იტალია** — 20-დან 15 რეგიონი;

**კვიპროსი** — 3 მუნიციპალიტეტი;

**ლიტვა** — ჩრდილოეთში კარსტული რაიონები;

**ნიდერლანდები** — კიულემბორგის მუნიციპალიტეტი;

**ახალი ზელანდია** — 62 მუნიციპალიტეტი. ქვეყანაში შექმნილია გმო-სგან თავისუფალი ზონის ნებაყოფლობითი რეესტრი, სადაც უკვე დარეგისტრირებულია 14 ათასზე მეტი მიწისმფლობელი;

**პორტუგალია** — ალგარვეს ოლქი, რომელიც ქვეყნის ტურისტული ზონაა. სწორედ ეს გახდა ამ ტერიტორიის გმო-სგან თავისუფალ ზონად გამოცხადების მიზეზი;

**რუმინეთი** — 2 ქალაქი და 24 რაიონი;

**სლოვაკეთი** — ევროპაში არსებობს ბიორეგიონი, რომელიც აერთიანებს სლოვაკეთის, ავსტრიისა და იტალიის სხვადასხვა პროვინციას. ამ ტერიტორიების ფერმერებმა, 2003 წელს, საერთო განცხადებას მოაწერეს ხელი და მოითხოვეს, უარი ეთქვათ გმო-ზე;

**აშშ** — კალიფორნიის შტატი, ვერმონტის შტატის 80-ზე მეტი ქალაქი, მენის შტატის 2 ქალაქი;

**ფილიპინები** — 3 კუნძული;

**ფინლანდია** — 2 ქალაქისა და 2 მუნიციპალიტეტის მთავრობებმა აკრძალეს გმო-ს გამოყენება საზოგადოებრივ დაწესებულებებში;

**საფრანგეთი** — 1250-ზე მეტი ადმინისტრაციული ერთეული: 15 რეგიონი, 5 დეპარტამენტი. 2008 წელს კი, მას შემდეგ, რაც ერთ-ერთი კვლევის დროს, „მონსანტოს“ სიმინდის მიღების შემდეგ, საცდელი ვირთხები კიბოთი დაავადდნენ, საფრანგეთში ამ მწარმოებლის სიმინდის გაყიდვა ოფიციალურად აიკრძალა;

**ხორვატია** — 12 საგრაფო;

**ჩილი** — აკრძალულია გმო-ს შემცველი საკვები პროდუქტების გაყიდვა;

**იაპონია** — 5 ათას ჰექტარზე მეტი ტერიტორია; მთელ ქვეყანაში კი გმ კულტურების მოყვანა იკრძალება. მიუხედავად ამისა, იაპონური ბაზარი სავსეა გენმოდიფიცირებული კანადური ბრინჯით;

**რუსეთი** — აკრძალულია გმ კულტურების მოყვანა, თუმცა გმო-ს წარმოებაში ხშირად იყენებდნენ. „გრინფისის“ კვლევებმა აჩვენა, რომ რუსული პროდუქტის 30% გენმოდიფიცირებულია. ამ ფონზე, ხალხმა უფროდაუფრო მეტ რეგიონში დაიწყო მოთხოვნა, აიკრძალოს ქვეყანაში გმო. რამდენიმე დღის წინ გავრცელდა ინფორმაცია, რომ რუსეთში შესაძლოა გმო-ს შემცველი პროდუქტეის იმპორტი აიკრძალოს.

გენმოდიფიცირებული ორგანიზმების შესახებ ევროკავშირის კანონები გაცილებით ლიბერალურია, ვიდრე მასში შემავალი ქვეყნების საზოგადოების დამოკიდებულება გმო-ს მიმართ, თუმცა, გარკვეული აკრძალვები ევროკავშირმაც დააწესა. მაგალითად, აიკრძალა გმ კარტოფილის 2 სახეობის მოყვანა ევროკავშირის ტერიტორიაზე. ზოგადად, გმო-ს აკრძალვა, მსოფლიო მასშტაბით ქმნის პრობლემებს. მაგალითად, ახლახან, საკმაოდ დიდი ზარალი მიიღო ტაილანდმა, რომელიც გმ პროდუქციის წარმოებაზე უარს აცხადებს. მიუხედავად ამისა, ტაილანდში წარმოებული თინუსის კონსერვის დიდი მარაგი, რომელიც საბერძნეთში უნდა შესულიყო, საბერძნეთის ხელისუფლებამ უკან გააბრუნა. მიზეზი ის გახლდათ, რომ თინუსს, აშშ-ში წარმოებული სოიოს ზეთი ჰქონდა მოსხმული. ამერიკაში კი სოიო, ძირითადად, გენეტიკურად მოდიფიცირებულია.

სპეციალისტების უმრავლესობა აცხადებს, რომ იმის პარალელურად, რომელი ქვეყნები ამბობენ უარს გმ პროდუქტის წარმოებაზე, აუცილებელია ვიცოდეთ, რომელი ქვეყნები აწარმოებენ ამგვარ პროდუქტს. ეს ბაზარზე პროდუქტის არჩევაშიც დაგვეხმარება:

**ევროპის ქვეყნებიდან მხოლოდ რუმინეთში, ჩეხეთში, სლოვაკეთში, პორტუგალიასა და ესპანეთში მოჰყავთ გმ კულტურები, ძირითადად კარტოფილი და სიმინდი. ბოლო დროს მათი მწარმოებლების რაოდენობა აქაც იკლებს. გმ კულტურების ყველაზე დიდი მწარმოებელი ამერიკის შეერთებული შტატები, კანადა და ჩინეთია. აშშ-ში ძირითადად გენმოდიფიცირებული სიმინდი, სოიო, ბრინჯი, პაპაია, ყაბაყი, იონჯა, ჭარხალი და პომიდორი მოჰყავთ. იყო გმ ორაგულის გამოყვანის მცდელობაც; ჩინეთში გმ სიმინდს, სოიოსა და ბრინჯს აწარმოებენ, კანადაში კი, წარმატებით მოჰყავთ გენმოდიფიცირებული სოიო და სიმინდი.**

# როგორ შევარჩიოთ ბაზარში ჯანსაღი ხახვი?

**ხახვის** შერჩევისას ყურადღება მიაქციეთ ბოლქვის სიმტკიცეს. სცადეთ ხელით მოსინჯოთ: ხრაშუნის ხმა კარგი ნიშანია. ყურადღებით დაათვალიერეთ ბოსტნეული — მას არ უნდა ჰქონდეს არანაირი ლაქა. ბოლქვის მშრალი კანი კარგი ხარისხის მაჩვენებელია. თავიანი ხახვის ფერი შესაძლებელია დამოკიდებული იყოს მის სხვადასხვა სახეობაზე. საერთოდ ღია ფერის ბოლქვებს, ნაკლებად მკვეთრი, გამაღიზიანებელი სუნი აქვს. თუ ირჩევთ ყვითელთავიანებს, შეეცადეთ იყიდოთ ოქროსფერი საფარველით. ხახვის ზომა ისევე, როგორც ნებისმიერი ბოსტნეულის, არ უნდა იყოს დიდი, რადგან მისი შიგთავსის ფურცლებში გროვდება დიდი რაოდენობით ტენი, რაც მნიშვნელოვნად მოქმედებს პროდუქტის ხარისხზე, გემო კი შეიძლება ჰქონდეს არაბუნებრივად ტკბილი. არ გირჩევთ აღმოცენებული ხახვის შეძენას — ეს მის არასწორ შენახვაზე მიუთითებს.

ხახვს ისევე, როგორც ნიორს ფოჩებით წნავენ და კიდებენ გრილ და მშრალ ადგილას, საკუჭნაოში ან სხვენზე, სადაც ტემპერატურა 18-24ºC აღწევს. შეგიძლიათ, მოათავსეთ მშრალ ყუთში ან კალათში. ნებისმიერ შემთხვევაში, მნიშვნელოვანია ბოლქვის კარგად გამოშრობა და სივრცის განიავება. ყინვაში, ხახვის აივანზე შენახვა შესაძლებელია მხოლოდ ერთი პირობით, თუ შეფუთავთ თბილი საფენებით. მეტად მნიშვნელოვანია, ავაცილოთ ტემპერატურის მკვეთრი ცვლილება. თავდაპირველად, შესაძლებელია, შესანახად გამოიყენოთ მაცივარიც.

ძალიან ცუდად ინახება დაჭრილი ბოლქვი, მაგრამ არსებობს ერთი გამოსავალი — შეგიძლიათ მოაყაროთ მარილი ან გააჯეროთ რომელიმე ცხიმით.

**მწვანე ხახვი:** უკეთესია მუქი მწვანე შეფერილობის ფოთლები, მკვრივი თეთრი თავით. ზომასაც აქვს მნიშვნელობა — არ გირჩევთ განსაკუთრებით დიდი ზომების შერჩევას. დააკვირდით ფოთლებს — არ უნდა იყოს ლორწოვანი, თეთრი ნადებით ან გამომშრალი. ღერო უნდა იყოს გლუვი და დაუზიანებელი. მომჭკნარი და გაყვითლებული ფოთლები დაავადების ნიშანია.

მწვანე ხახვი შესანიშნავად ინახება მაცივარში, სასურველია, მოათავსოთ ცალკე კონტეინერში. ძალიან მარტივი და სასარგებლოა მწვანე ხახვის გაშრობა და ისე შენახვა, რადგან უკეთ ინარჩუნებს ჩ ვიტამინს.

მწვანე ხახვის ფოთლებში გაცილებით მეტი ვიტამინია, ვიდრე თავად ბოლქვში. მწვანე ხახვი არაჩვეულებრივი საშუალებაა ვიტამინების მარაგის შესავსებად, ჩ ვიტამინის შემცველობა მასში 2-ჯერ მეტია, ვიდრე ფორთოხალში, 4-ჯერ მეტი ვიდრე ვაშლში და 6-ჯერ მეტი ვიდრე კარტოფილში. მწვანე ხახვის ფურცლებში შედის კაროტინი და ჯგუფის ვიტამინები. ხახვის ფოჩებში არის ასევე ქლოროფილი, რაც სისხლის რეპროდუქციას უწყობს ხელს.

ხასხასა მწვანე ფერი, განსაკუთრებული არომატი, უნიკალური გემო, რომელიც ნებისმიერ კერძს დამატებით მომხიბვლელობას მატებს და აღძრავს მადას – ყოველივე ეს იმ ეთერზეთების დამსახურებაა, რომელსაც უხვად შეიცავს ეს ბოსტნეული... ამიტომ როდესაც ირჩევთ მწვანე ხახვს, ყურადღება მიაქციეთ მის ფერს, ფოთლებისა და ღეროს სისუფთავეს.



# ჰოროსკოპი
## 11 დეკემბერი

**ვერძი** — ემოციების მოთოკვას ვერ ახერხებთ, თუმცა ცდილობთ, საქმეში ცოტა ეშმაკობა გამოიჩინოთ. დიდია იმედგაცრუების ალბათობა. სასურველია, დრო ხელოვნებას დაუთმოთ.

**კურო** — არც ისე თავისუფალი ხართ, როგორც გეგონათ. ყოველ შემთხვევაში, მატერიალურმა პრობლემებმა შესაძლოა, ურთიერთობა დაძაბოს გარშემომყოფებთან. დაბნეული ხართ და ამიტომ თავი შეიკავეთ საქმიანი გარიგებისგან.

**ტყუპები** — კარგი დღეა თანამოაზრეებთან, მეგობრებთან, საყვარელ ადამიანთან ურთიერთობისთვის, სამაგიეროდ არაპროდუქტიულია მუშაობისთვის. შეეცადეთ, დრო დასვენებისა და გართობისთვის გამოიყენოთ, რათა ენერგია აღიდგინოთ.

**კირჩხიბი** — თქვენი ლტოლვა კომფორტისა და სიამოვნებისკენ ძალიან დიდია. ვარსკვლავები გირჩევენ, თვითკონტროლი მოადუნოთ და უარი თქვათ სამუშაოზე. დღის მეორე ნახევარში დიდია რომანტიული შეხვედრის ალბათობა.

**ლომი** — შეეცადეთ, გულთან ახლოს არ მიიტანოთ უფროსობის მოსაზრება და განწყობა. ყველაფერი, რაც გსურს, ვერ ასრულდება. გაავლეთ ზღვარი რეალობასა და თქვენს ფანტაზიებს შორის, კარგი დღეა ახალი საქმის წამოსაწყებად.

**ქალწული** — სრული უფლება გაქვთ, მოდუნდეთ და სიამოვნება მიიღოთ. შესაძლოა, ბევრ საკითხში მართალი იყოთ, მაგრამ შეეცადეთ, ნებისმიერ სფეროში ზომიერება დაიცვათ.

**სასწორი** — გაიზრდება ინტერესი ამოუცნობი, რთული თემებისადმი. თქვენს ყურადღებას ექსპერიმენტები და კრიტიკული ვითარება მიიქცევს — მოემზადეთ რთული წინააღმდეგობის გადასალახად.

**ღრიანკალი** — საკმაოდ ემოციური ხართ და ამიტომ მოერიდეთ კონფლიქტურ ვითარებას. ვიდრე ვინმეს ბრალს დასდებთ, საკუთარი საქციელი შეაფასეთ. დღე კარგია ქველმოქმედებისთვის, თუმცა დაფასებას ნუ დაელოდებით.

**მშვილდოსანი** — ვარსკვლავები გირჩევენ, დრო სახლის საქმეებს დაუთმოთ, სამსახურეობრივი პრობლემების მოგვარება უკეთესი დროისთვის გადადეთ, საღამო კი საყვარელ ადამიანთან ერთად გაატარეთ.

**თხის რქა** — არ ღირს ყველაფერში ეკონომია. სჯობს, ახლობლები საჩუქრებით გაანებივროთ, თუმცა ზომიერების გრძნობამ არ გიღალატოთ. დიდია ალბათობა, სიხარული მოულოდნელად წვენამ შეცვალოს.

**მერწყული** — შესაძლოა ისეთი ადამიანი გაიცნოთ, ვინც არ იმსახურებს თქვენს ნდობას და ეს მცირე წარუმატებლობა ხასიათს გაგიფუჭებთ. სასურველი არ არის ახალი ხელშეკრულებების გაფორმება, სჯობს, დრო ოჯახის წევრების გარემოცვაში გაატაროთ.

**თევზები** — მატერიალურ საფუძველზე წარმოქმნილი გაღიზიანება თქვენს შრომისუნარიანობაზეც უარყოფითად აისახება. საღამოს გატარებას ვარსკვლავები მყუდრო გარემოში გირჩევენ, ამიტომ სჯობს, მეგობრები მოინახულოთ.

# გემოს გამომწვევი მოწყობილობა შექმნეს



აზიელმა მეცნიერებმა, ეგრეთ წოდებული, „შაქარყინული“ გამოიგონეს, რომელიც გემოს შეგრძნებას მუხტის წყალობით იწვევს. სპეციალისტები ვარაუდობენ, რომ ის მომავალში, ტელეშოუების მაყურებელს მზა კერძების გემოს შეგრძნების საშუალებას მისცემს. მოწყობილობას ყველანაირი გემოს გამოწვევა შეუძლია, არსით კი ელექტროდია. უჩვეულო „შაქარყინული“ სინგაპურელმა მეცნიერებმა შექმნეს და მას მარილიანი, ტკბილი, მწარე, მჟავე გემოს გამოწვევა შეუძლია. მოწყობილობა ენაზე თავსდება და გემო მუხტის წყალობით შეიგრძნობა. მუხტის სიმძლავრე და ტემპერატურის ცვლილება კი სხვადასხვა გემოს შეგრძნების შესაძლებლობას ილევა. სპეციალისტები ვარაუდობენ, რომ მათი გამოგონება სიმსივნით დაავადებულთა რეაბილიტაციისთვის გამოდგება, რომელთაც თერაპიის დროს გემოსადმი მგრძნობელობა უქვეითდებათ.

# გამორთული ტელეფონისთვის ფასდაკლებას სთავაზობენ



კულინარიული კულტურის გადასარჩენად ჰავად იბრაჰიმი, რომელიც იერუსალიმში რესტორნის მფლობელია, საკუთარი დაწესებულების კლიენტებს მობილური ტელეფონების გამორთვას სთხოვს, სანაცვლოდ კი მომსახურებაზე 50%-იან ფასდაკლებას სთავაზობს. რესტორატორის განცხადებით, ადამიანებს არ შეუძლიათ ბოლომდე ისიამოვნონ ჭამით, რადგან დროს მობილურზე ლაპარაკში კარგავენ. სმარტფონები ხელს უშლის არა მხოლოდ საკვების მიღებაში, არამედ ურთიერთობაშიც, რაც რესტორანში ყოფნის ნაწილია. იბრაჰიმის დაწესებულება, რომელიც აბუ-გოშში მდებარეობს, საკმაოდ პოპულარული ადგილია ებრაელებსა და არაბებს შორის.



# ჰოროსკოპი
## 12 დეკემბერი

**ვერძი** — წარმატებული დღეა. არც ერთი ამოცანა გადაუჭრელი არ დაგრჩებათ. ეცადეთ, დამოუკიდებლად არ იმოქმედოთ, დასკვნების გამოტანასაც ნუ იჩქარებთ და ნურც თქვენი რჩეულით მანიპულირებას ეცდებით.

**კურო** — დღე უამრავ სასიამოვნო შთაბეჭდილებას ჰპირდება მათ, ვისაც არა მხოლოდ პროფესიული წარმატების სურვილი აქვს, არამედ მეგობრებთან შეხვედრისთვის დროის გამონახვაც შეუძლია. სამსახური და პირადი ცხოვრება მჭიდრო კავშირშია — პოტენციურ პარტნიორებს სწორედ იქ შეხვდებით, სადაც ყველაზე ნაკლებად ელით.

**ტყუპები** — საუკეთესო შედეგის მისაღწევად აქტუალური პრობლემებით დაკავება მოგიწევთ, მომავალზე ფიქრის დრო კი მოგვიანებით გექნებათ. შესაძლოა წარმატება კარიერაში, თუმცა მნიშვნელოვანია, კარგი ურთიერთობა შეინარჩუნოთ კოლეგებსა და ხელმძღვანელობასთან.

**კირჩხიბი** — აღმოაჩენთ, რომ ყველაზე რთული უკან მოიტოვეთ, თუმცა ნუ მოდუნდებით, რადგან დიდი ძალისხმევა გჭირდებათ დასახული მიზნის მისაღწევად. გადაწყვეტილებების მიღებისას ენდეთ ინტუიციას.

**ლომი** — წარმატებული დღეა მათთვის, ვისაც პროფესიული ზრდის სურვილი აქვს. ემოციური ფონი სტაბილურია. კარგი ურთიერთობა გაქვთ ახლობლებთან, თუმცა მნიშვნელოვანი ბიზნესპროექტების განხორციელება, აჯობებს, სხვა დროისთვის გადადოთ.

**ქალწული** — ახალი შესაძლებლობები გეხსნებათ, რითიც დაუფიქრებლად უნდა ისარგებლოთ. კოლეგები და უფროსობა თქვენს პროფესიონალიზმს აფასებენ. შეძლებთ, მოიპოვოთ მათი ნდობა, ვის მიმართაც გულგრილი არ ხართ.

**სასწორი** — საქმიანი ურთიერთობებისთვის საკმაოდ წარმატებული დღეა. განსაკუთრებით კი მათ გაუმართლებს, ვინც მივლინებაში გაემგზავრება. ეცადეთ, უფრო ყურადღებიანი იყოთ გარშემომყოფების მიმართ, წინააღმდეგ შემთხვევაში, უსიამოვნებას ვერ აიცილებთ თავიდან.

**ღრიანკალი** — სასიამოვნო დღეა, მშვიდი, ასაღელვებელი არაფერი გაქვთ, თუმცა მოსალოდნელია გარკვეული ცვლილებები. ეცადეთ თავი აარიდოთ ურთიერთობას საეჭვო რეპუტაციის ადამიანებთან.

**მშვილდოსანი** — წარმატებას თქვენი უნარის წყალობით მიაღწევთ, რაც უცნობ ვითარებაში ადვილად ორიენტირებას გულისხმობს. ნუ დაიტვირთებით უინტერესო, მოსაწყენი საქმეებით. თქვენი ადგილი იქ არის, სადაც გამჭრიახობა და შემოქმედებითი მიდგომაა აუცილებელი.

**თხის რქა** — შანსი გაქვთ, მეგობრების წრეში დრო შესანიშნავად გაატაროთ. სამსახურიც დიდ ძალისხმევას არ მოითხოვს, მხოლოდ თვალი მიადევნეთ, სხვები რას აკეთებენ და კარგ მაგალითს მიბაძეთ.

**მერწყული** — ეკონომიური იყავით, წინააღმდეგ შემთხვევაში, ზედმეტი მფლანგველობის გამო გარკვეული გეგმების გადადება მოგიწევთ. შეეცადეთ, ამ მდგომარეობამ განწყობა არ გაგიფუჭოთ — პოზიტიური ტენდენციები იმდენად ძლიერია, რომ მხოლოდ ინტუიციას ენდეთ და წარმატებაც არ დააყოვნებს.

**თევზები** — გარშემომყოფებთან ურთიერთობა გიჭირთ. ბევრი რამის ინტერესს კარგავთ. შეეცადეთ, საქმიანობის ახალი სფერო გამოძებნოთ: გაქვთ შანსი, წარმატებას მიაღწიოთ. ახლობლებთან ურთიერთობა მოთმინებას მოითხოვს.

# ხვრინვა მხედველობას აზიანებს



ტაივანელმა სწავლულებმა აღმოაჩინეს, რომ ხვრინვა ნეგატიურ გავლენას ახდენს ადამიანის მხედველობაზე. სპეციალისტების დასკვნები 1000 პაციენტსა და 6 ათას ჯანმრთელ მოხალისეზე ჩატარებული კვლევების შედეგებს ეყრდნობა. მკვლევარები ამტკიცებენ, რომ ვინც ძილში ხვრინავს, 1,67-ჯერ მეტად ხშირად ავადდება გლაუკომით (მას თვალის მაღალი წნევა იწვევს), ხვრინვას ასევე შეუძლია ინსულტისა და გულის დაავადების პროვოცირება. დეტროიტის უნივერსიტეტის სპეციალისტები ვარაუდობენ, რომ ვიბრაცია, რაც ხვრინვის დროს წარმოიქმნება, ტრავმას აყენებს სისხლძარღვებს, მათ ანთებასა და გათხელებას იწვევს, რაც ათეროსკლეროზის პირველი სტადია. სწავლულები აცხადებენ, რომ ხვრინვა ისეთივე საშიშია ადამიანისთვის, როგორც მაღალი არტერიული წნევა.

# სუში გულს საფრთხეს უქმნის

იაპონური სამზარეულოს მოყვარულები, განსაკუთრებით კი ისინი, ვინც ხშირად მიირთმევს სუშის, გულის, სისხლძარღვებისა და ტვინის პრობლემების განვითარების რისკის ქვეშ არიან, — განაცხადეს სწავლულებმა აშშ-ს როჯერსის უნივერსიტეტიდან. მეცნიერები ამტკიცებენ, რომ წითელი თევზი, რომელსაც სუშისთვის იყენებენ, ომეგა-3 მჟავას შეიცავს, რომელიც დადებითად მოქმედებს ადამიანის ორგანიზმზე და გამოდევნის ქოლესტერინს,



თუმცა ამავე დროს, თევზი შეიცავს მეთილვერცხლისწყალს — ტოქსიკურ ნივთიერებას, რომელიც ორგანიზმში გროვდება და გულსისხლძარღვთა დაავადებებს იწვევს. ადამიანს შეიძლება დაერღვეს მოტორიკა, დაუქვეითდეს მხედველობა და სმენა, დაერღვეს ცნობიერება, რაც საბოლოოდ ფატალურად დასრულდება. მეცნიერები სუშის ხშირად მირთმევას არ ურჩევენ ფეხმძიმეებს, რადგან საშიში ნაერთი ბავშვის ნერვულ სისტემას ჩანასახშივე აზიანებს.

# სუდოკუმანია

## ადვილი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 4 | 2 | 1 | | | 6 | |
| 7 | | 6 | | | | | | 9 |
| | | 9 | | | 3 | | | |
| | | 1 | | 8 | | 4 | 7 | |
| | | | | | | | | |
| | 7 | 5 | | 4 | | 2 | | |
| | | | 6 | | | 1 | | |
| 8 | | | | | | 6 | | 4 |
| | 1 | | | 7 | 8 | 9 | | |

## სტანდარტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 3 | 5 | | | | 2 | | | |
| | | | 5 | | | 7 | | |
| 7 | 6 | 8 | | | 3 | 5 | | 1 |
| | 4 | | | | 6 | 1 | | |
| | | 9 | | | | 8 | | |
| | | 6 | 4 | | | | 5 | |
| 6 | | 2 | 3 | | | 4 | 8 | 5 |
| | | 5 | | | 4 | | | |
| | | | 2 | | | | 3 | 6 |

## რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | 6 | | 2 | |
| 4 | | | | | 7 | | | 8 |
| | | 6 | 3 | | | | 4 | 7 |
| | | 1 | | | 5 | 9 | | |
| 9 | | | 7 | 6 | 3 | | | 5 |
| | | 3 | 9 | | | 2 | | |
| 3 | 1 | | | | 8 | 7 | | |
| 8 | | | 6 | | | | | 9 |
| | 6 | | 5 | | | | | |

## ექსპერტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 4 | | | | | 1 | |
| | 2 | | | 1 | | 6 | | 4 |
| | | 5 | | | 2 | | 8 | 3 |
| | | | | 2 | 8 | | | 5 |
| | | | 3 | | 4 | | | |
| 8 | | | 1 | 9 | | | | |
| 7 | 4 | | 2 | | | 3 | | |
| 9 | | 2 | | 7 | | | 4 | |
| | 1 | | | | | 7 | | |

# მკერდის კიბოს ერბოკვერცხი კურნავს?



მეცნიერებმა გაარკვიეს, რომ ისეთ ვერაგ დაავადებას, როგორიც მკერდის კიბოა, ქათმის კვერცხი შველის — მისი ყოველდღიური მიღების შედეგად დაავადების რისკი საგრძნობლად მცირდება, — აცხადებენ ამერიკელი სწავლულები. ჩრდილოკაროლინელი მეცნიერების მიზანი იმის გარკვევა იყო, კვების როგორი რაციონია საჭირო მკერდის კიბოს რისკის შესამცირებლად და საერთოდ, შესაძლებელია თუ არა პრევენცია. სპეციალისტებმა სამი ათასამდე მანდილოსნის რაციონი გააანალიზეს და შედეგად დაასკვნეს, რომ ქათმის კვერცხი მართლაც მნიშვნელოვანი კომპონენტია კიბოსთან ბრძოლაში — ერბოკვერცხის რეგულარული მიღებისას ორგანიზმში წარმოიქმნება მუდმივი ანტიკანცეროგენული ეფექტი, რის მიზეზადაც ხოლინის მაღალ დონეს ასახელებენ. თუ ქალი ყოველდღიურად მიიღებს 450 მილიგრამ ან უფრო მეტ ამ ნივთიერებას, მკერდის კიბოს განვითარების რისკი 24%-ით მცირდება. რაც შეეხება ხოლინს, დიეტოლოგების გამოთვლით, ერთი კვერცხის გული 125,5 მილიგრამ ამ ნივთიერებას შეიცავს და ის უჯრედების ნორმალური ფუნქციონირებისთვისაა საჭირო.



# ჩაი ქალებისთვის მავნეა

ამერიკელმა სწავლულებმა ჯორჯთაუნის უნივერსიტეტიდან მასშტაბური გამოკვლევა ჩაატარეს სხვადასხვა პროდუქტისა და კვებითი ჩვევების გავლენაზე — სუსტი სქესის 76 ათასზე მეტი წარმომადგენელი გამოიკვლიეს, შედეგად კი დაასკვნეს, რომ შავ ჩაისა და რევმატულ ართრიტს შორის მჭიდრო კავშირი არსებობს. ამ სასმელის ინტენსიური მოხმარება კი არსებითად ზრდის ამ დაავადების წარმოშნის რისკს. თუმცა, მკვლევარები არ მოგვიწოდებენ, უარი ვთქვათ ჩაის მოხმარებაზე. მასში მართლაც ბევრი ანტიოქსიდანტი და მატონიზირებელი ნივთიერებაა. შესაძლოა, სახსრებზე ჩაის ნეგატიურ გავლენას მისი ფერმენტები იწვევს, რაც სასმელს ფერს აძლევს. ანუ, რაც უფრო მუქია ჩაი, მით უფრო აგრესიულია მისი ფერმენტები. ასე რომ, თუ ჩაის სმის დიდი მოყვარული ბრძანდებით, მუქი სასმელი იშვიათად, ერთი-ორჯერ დალიეთ დღეში.

# ძვირფასი დესერტი – საუკეთესო ანტიდეპრესანტი

ბრიტანელმა კარლ ვაინინგერმა, რომელიც ბრილიანტების გაყიდვითაა დაკავებული, მსოფლიოში ყველაზე ძვირფასი დესერტი — შოკოლადის პუდინგი შეიძინა, რომელიც 34 ათას დოლარზე მეტი (22 ათასი გირვანქა სტერლინგი) ღირს და ასე გადაწყვიტა დეპრესიის წინააღმდეგ გალაშქრება. საქმე ის გახლავთ, რომ 60 წლის იუბილემდე ბიზმესმენი მეგობარმა ქალმა მიატოვა, რომელსაც სამი წლის განმავლობაში ხვდებოდა. ეს მდიდრული პუდინგი ფაბერჟეს კვერცხის ფორმაშია გამომცხვარი და საკვებად



ვარგისი ოქროს მინანქრითაა დაფარული, რომელსაც ამშვენებს მარწყვისა და შამპანურის „ნაპერწკლები“ და ორკარატიანი ბრილიანტი. ეს უნიკალური დესერტი კულინარმა მარკ გილბერტმა შექმნა.

# წნევის წამალი რასიზმის წინააღმდეგ




ახალი გამოკვლევის თანახმად, წნევის დამწევი წამალი ადამიანებში რასისტულ გრძნობებს აქვეითებს. გამოკვლევა ოქსფორდის უნივერსიტეტის სწავლულებმა ჩაატარეს. ექსპერიმენტში მონაწილეთა ნახევარს პროპრანოლოლს აძლევდნენ, მეორე ნახევარს კი — დამამშვიდებელ საშუალებას. მათ რასზიმზე ტესტის გავლაც მოუწიათ პრეპარატის მიღებამდე, მიღების დროსა და მას შემდეგ. მეცნიერებმა შენიშნეს, რომ იმ მონაწილეებს, რომელთაც წნევის წამალი მიიღეს, რასობრივი მიდრეკილებები უფრო დაქვეითებული ჰქონდათ, ვიდრე მათ, ვინც დამამშვიდებელს იღებდა. მიუხედავად იმისა, რომ გამოკვლევაში სულ 36 ადამიანი მონაწილეობდა, შედეგებმა აჩვენა, რომ ადამიანის ტვინში მიმდინარე ზოგიერთ პროცესზე შესაძლოა სამკურნალო პრეპარატით ზემოქმედება.

# მანდარინი გახდომაში დაგეხმარებათ



ბრიტანელი სწავლულების მიერ ჩატარებულმა გამოკვლევებმა აჩვენა, რომ მანდარინი ხელს უწყობს ღვიძლის ცხიმების შემცირებას და მუცლის არეში ცხიმდაგროვებას შლის. ექსპერიმენტისას, რომელიც სკოლის მოსწავლეებზე ჩატარდა, ორი თვის განმავლობაში ბავშვებს მანდარინის წვენს ასმევდნენ და პარალელურად ისინი ფიზიკურ ვარჯიშებს ასრულებდნენ. მეორე საკონტროლო ჯგუფის წარმომადგენლებს კი ასევე ორი თვის განმავლობაში ავარჯიშებდნენ, მაგრამ ციტრუსის წვენს არ აძლევდნენ. შედეგად გაირკვა, რომ პირველი ჯგუფის წევრმა მოსწავლეებმა 1,5%-ით მოიშორეს ზედმეტი წონა, მეორე ექსპერიმენტის შედეგად კი, რომელიც მღრღნელებზე ჩაატარეს და რომელთაც ორი თვის განმავლობაში მანდარინის კონცენტრატის ინექციებს უკეთებდნენ, მუცლის ღრუს ცხიმის 59% დაკარგეს და წონაში 45%-ით დაიკლეს.

# წინა ნომერში გასული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები

## ადვილი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 3 | 2 | 6 | 5 | 4 | 1 | 8 | 7 | 9 |
| 4 | 1 | 9 | 6 | 8 | 7 | 5 | 3 | 2 |
| 8 | 7 | 5 | 3 | 2 | 9 | 1 | 6 | 4 |
| 7 | 9 | 8 | 4 | 6 | 5 | 3 | 2 | 1 |
| 2 | 3 | 4 | 1 | 9 | 8 | 6 | 5 | 7 |
| 6 | 5 | 1 | 7 | 3 | 2 | 4 | 9 | 8 |
| 1 | 6 | 3 | 2 | 7 | 4 | 9 | 8 | 5 |
| 9 | 4 | 2 | 8 | 5 | 6 | 7 | 1 | 3 |
| 5 | 8 | 7 | 9 | 1 | 3 | 2 | 4 | 6 |

## სტანდარტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 4 | 8 | 9 | 7 | 3 | 6 | 5 | 2 | 1 |
| 7 | 5 | 3 | 8 | 2 | 1 | 6 | 9 | 4 |
| 6 | 2 | 1 | 5 | 4 | 9 | 3 | 8 | 7 |
| 8 | 3 | 4 | 6 | 7 | 5 | 2 | 1 | 9 |
| 2 | 1 | 7 | 4 | 9 | 3 | 8 | 6 | 5 |
| 9 | 6 | 5 | 2 | 1 | 8 | 7 | 4 | 3 |
| 1 | 9 | 8 | 3 | 6 | 7 | 4 | 5 | 2 |
| 5 | 7 | 2 | 1 | 8 | 4 | 9 | 3 | 6 |
| 3 | 4 | 6 | 9 | 5 | 2 | 1 | 7 | 8 |

## რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 7 | 9 | 5 | 6 | 2 | 4 | 3 | 8 |
| 8 | 2 | 6 | 9 | 3 | 4 | 5 | 1 | 7 |
| 5 | 4 | 3 | 1 | 8 | 7 | 2 | 6 | 9 |
| 3 | 1 | 8 | 2 | 4 | 6 | 9 | 7 | 5 |
| 2 | 9 | 7 | 3 | 5 | 1 | 8 | 4 | 6 |
| 4 | 6 | 5 | 7 | 9 | 8 | 1 | 2 | 3 |
| 7 | 3 | 4 | 8 | 2 | 5 | 6 | 9 | 1 |
| 9 | 8 | 2 | 6 | 1 | 3 | 7 | 5 | 4 |
| 6 | 5 | 1 | 4 | 7 | 9 | 3 | 8 | 2 |

## ექსპერტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 2 | 5 | 8 | 7 | 4 | 1 | 6 | 9 | 3 |
| 6 | 3 | 4 | 5 | 2 | 9 | 8 | 1 | 7 |
| 1 | 9 | 7 | 3 | 8 | 6 | 2 | 5 | 4 |
| 8 | 7 | 6 | 4 | 3 | 5 | 9 | 2 | 1 |
| 4 | 2 | 3 | 1 | 9 | 8 | 7 | 6 | 5 |
| 5 | 1 | 9 | 6 | 7 | 2 | 4 | 3 | 8 |
| 3 | 8 | 5 | 2 | 6 | 7 | 1 | 4 | 9 |
| 9 | 6 | 1 | 8 | 5 | 4 | 3 | 7 | 2 |
| 7 | 4 | 2 | 9 | 1 | 3 | 5 | 8 | 6 |

მე-9 გვერდი: 1. ჰარამხანა; 2. აბაჟური; 3. ჰალუცინაცია; 4. რადა; 5. მესა; 6. ბაკალავრი; 7. ჟირანდოლი; 8. რემა; 9. ფცა; 10. ასო; 11. სადილი; 12. კორომი; 13. იორი; 14. პიკი; 15. არიმანი; 16. ბრასი; 17. კუ; 18. ანოდი; 19. ლენი; 20. თმა; 21. დოკი; 22. ქცევა; 23. ედისონი; 24. კურო; 25. ბურმისტრი; 26. რიჩარდ გირი; 27. რული; 28. ფრუ; 29. ურანი; 30. იდენტური; 31. რაგბი; 32. გარიბალდი; 33. აკინაკი; 34. ბლოკი; 35. არია; 36. ჩარგალი; 37. ონი; 38. ისპანახი; 39. საინი; 40. ნევადა; 41. ამია; 42. რუბრიკა; 43. კოტონი; 44. დოსიე; 45. ისიანი; 46. სოს; 47. სტოპერი; 48. პერი; 49. ალია; 50. ნიში; 51. სი; 52. ფსტა; 53. მაიორატი; 54. აურა; 55. არყა; 56. კეა; 57. ონიქსი; 58. იო; 59. დაკა; 60. ფშატი; 61. აისი; 62. იოშკარ; 63. იდიში; 64. შპრეე; 65. ყრუ; 66. შულერი; 67. როუ; 68. ეგიდა; 69. აბაი; 70. კარე; 71. ყალია; 72. ოლქი; 73. გრაალი; 74. ლირა; 75. ურო; 76. გოია; 77. იფი; 78. ფრაუ; 79. ოყა; 80. ყბა; 81. ორსე; 82. სუ; 83. გაიდაი; 84. ალთაი; 85. ელა; 86. ონისე; 87. კაა; 88. კაკადუ.

მე-12 გვერდი: 1. მონპარნასი; 2. აიათოლა; 3. ბუკლე; 4. ბარელი; 5. „გალათასარაი“; 6. აბდიკაცია; 7. ნადეჟდა; 8. სიქა; 9. ბუა; 10. ბრემენი; 11. რადიანი; 12. ლაპლანდია; 13. „ბარსელონა“; 14. პადრე; 15. დიდაქტიკა; 16. იური; 17. იდალგო; 18. მარლა; 19. გუვერნანტი; 20. მაგატე; 21. რუტინა; 22. ნოე; 23. კაჟი; 24. სეთი; 25. ნუნა; 26. დურდო; 27. ლაურა; 28. კეისარი; 29. დვირი; 30. მატიე; 31. რაველი; 32. კობალტი; 33. „ბრავო“; 34. როიალი; 35. თერგი; 36. გლობუსი; 37. სოსია; 38. ოკამი; 39. გი; 40. ნებიერა; 41. ლიე; 42. მარო; 43. ტონიკა; 44. არია; 45. ფანტელი; 46. სომოსა; 47. ბოტსვანა; 48. ტევიე; 49. სალთანი; 50. ემი; 51. ნაი; 52. ივანოვი; 53. ქატო; 54. რებუსი; 55. სიეტლი; 56. ინი; 57. ნიუ; 58. ორი; 59. სია; 60. ეტლი; 61. ია; 62. იუვენტა; 63. იდო.

1. ბალახოვანი სამკურნალო მცენარე
2. სითბოს რაოდენობის საზომი ერთეული
3. ხევსურთა არაყი
4. ინდოელი პოლიტიკოსი ჯავაჰარლალ ...
5. სკანდალური გამოხდომა, საქციელი
6. ერთი ენისთ. დამახასიათ. ხატოვანი გამოთქმა
7. ევროპელთა თოვლის ბაბუა სანტა ...
8. (კუთხ.) ერთად თავშეყრილი ხალხი
9. მოგზაური ... ამუნდსენი
10. თირკმლის ანთება
11. აჯანყებულ მონათა ბელადი
12. გასეირნება ბავშვის ენაზე
13. ლონდონის ცნობილი სტადიონი
14. კატის ხმიანობა
15. ბრაზილიის უდიდესი სტადიონი
16. ციური სხეულების შემსწავლ. მეცნიერება
17. „გაზაფხული შემოსულა, ...!“
18. ნაპოლეონის მარშალი
19. ამერიკელი ჩოგბურთელი ანდრე ...
20. ლომი სიმბას სატრფო
21. ორგანიზ-მის მო-წამვლა თირკმლების დაავადების დროს
22. სახელი „ევგენის“ კნინობითი ფორმა
23. „თეთრი ბაირაღების“ პერსონაჟი
24. კურორტი მარტვილის რაიონში
25. მყუდრო, უშფოთველი ცხოვრება
26. საჭადრაკო რეიტინგების ავტორი
27. მექსიკის უმაღლესი მწვერვალი
28. ცენტრალური მცველი ფეხბურთში
29. საწერი მაგიდის სახეობა
30. პარფიუმერული სითხე
31. ფეხიანი ჭიქა
32. თუფაქის მუსიკ. ჟანრი
33. იაპონური ავტომარკა
34. კავკას. მამაკაცთა ტრადიციული სამოსი
35. ნიგერიის ფულის ერთეული
36. დიდი მუწუკი
37. აშშ-ის ვალუტა
38. უდანაშაულობის საბუთი
39. ლონდონის საათი ...-ბენი
40. მხარე დასავლეთ საქართველ.
41. ევროპ. ფეხბურთის სახელწოდ. აშშ-ში
42. ზევსის მეუღლე
43. სუფთა მოგება ძიუდოში
44. პირამიდული ვარჯის მქონე მაღალი ხე, იგივე ალვისხე
45. ტრუბადურთა დილის ჰანგი
46. დავით სოსლანის ეროვნება
47. ... დღეიბი
48. ... კოელიო
49. პაპის და
50. V ნოტი
51. ... ტაილერი
52. ინტუიცია, გუმანი
53. მსახიობი ბრიუს ...
54. საქართველოს მთავარმართებელი
55. პატარა დროშა
56. ნამდვილად არსებული ნივთი
57. სოფელი ყაზბეგის რაიონში
58. გასართობი წარმოდგენა
59. ამერ. ინტერნეტ-სერვის პროვაიდერი
60. საკონდ. ნაწარმის ქართული ფირმა
61. ზღაპრული ცხენი
62. მიმართვა ფრანგი მეფისადმი
63. ქართ. ანბანის მე-17 ასო
64. ჰექტრის შემოკლებ. აღნიშვნა
65. წყალი - ლათინურად
66. პოლიციელის მეტსახელი ინგლისში







ერის ნათელი მომავალი ეკლესია-მონასტრების მშენებლობაშია, მიიღეთ მონაწილეობა წმიდა ანდრია პირველწოდებულის მონასტრის მშენებლობაში. უფალი შეგეწევათ. ბედნიერი ადამიანი - მორწმუნე ადამიანია.

რომ გწამდეს - უნდა დაიჯერო, რომ გჯეროდეს - უნდა გინდოდეს, მადლი რომ მოიპოვო - უნდა გსურდეს. ქართველნო ერთად ღვთისაკენ.

**ღმერთმა დაგლოცოთ და გაგაძლიეროთ**


## შენდება ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის „ყოველთა დედოფლის – პანტანასას“ სახელობის დედათა მონასტერი „ყოველთა დედოფლის სავანე“

„ყოველთა დედოფალი პანტანასას“ ღვთისმშობელი ცნობილია, როგორც ონკოლოგიურ ავადმყოფთა შემწე. სამწუხაროდ, საქართველოში გაიზარდა ამ სენით დაავადებულ ავადმყოფთა რაოდენობა. მრევლისა და ონკოლოგიურ დაავადებათა რესპუბლიკური ცენტრის ექიმებისა და პაციენტების თხოვნით, ათონის წმ. მთაზე, ვატობედის მონასტერში, სადაც დაბრძანებულია ხატის ორიგინალი, შეიქმნა მისი ასლი, რომელიც 2003 წელს ჩამობრძანდა ავჭალის წმ. ქეთევან წამებულის ეკლესიაში. კვირაში 2-ჯერ: ოთხშაბათს და პარასკევს, დღის 2 საათზე, აღევლინება ჯანმრთელობის პარაკლისი და უსასყიდლოდ გაიცემა საკურნებელი ზეთი ღვთისმშობლის კანდელიდან. ხატთან დღემდე აღესრულება სასწაულები. მრავალი ადამიანი განიკურნა, მრავალთა ავადმყოფობამ პროგრესირება შეწყვიტა.

გთხოვთ, თქვენი წვლილი შეიტანოთ მონასტრის მშენებლობაში და დარეკოთ: დერეკეთ: ჯეოსელის აბონენტებმა — 700311; მაგთის აბონენტებმა — 200351; ბილაინის აბონენტებმა — 700311

**ზარის ღირებულება 1 ლარი**

ავჭალის წმ. ქეთევან წამებულის ეკლესია. სს „საქართველოს ბანკი“ ცენტრ. ფილ. ბანკის კოდი 220101502 ეროვნულ ვალუტაში ა/ა 000700205. გიორგი რაზმაძე (წინამძღვარი). სს „კორ სტანდარტ ბანკი“ კოდი: 220101945 ეროვნულ ვალუტაში ა/ნ 1123598

**უფალმა შეგიწიროთ. პანტანასას ღვთისმშობელმა დაგლოცოთ!**


**Appraisal.llc**

შპს „აპპრაისალი“ გთავაზობთ,

**უძრავი და მოძრავი ქონების შეფასებას**

ალექსანდრე ფურცელაძე
მისამართი: ნუცუბიძის №16ა
ტელ.: (5)99 22 98 33
ელ-ფოსტა: a.purtseladze@gmail.com



# ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე, რუსუდან შელია, დავით დევიძე, ნათია ვასაძე.
სტილისტი: ნინო ებანოიძე
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
ტელ: 590 740999; 2942399

ISSN 1987-8699



დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.